პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 2 (5103) | ორშაბათი, 3 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა

დავაფასოთ ხალხის ნდობა! („პრავდის“ მოწინავე).
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა (მე-2 გვ.).
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ქ. ჩარკვიანის მოხსენება სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე (მე-2 და მე-3 გვ.).
მაყვალა მრევლიშვილი—„ვეფხის-ტყაოსანი“ (ლექსი) (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
საფრანგეთის კომპარტიის IX ყრილობა (1-ლი გვ.).
საომარი მოქმედება ჩინეთში (1-ლი გვ.).
ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაფასოთ ხალხის ნდობა!

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებულმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა ამომწურავი სიცხადით გვიჩვენა, რომ ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა მთავრობა სარგებლობენ ხალხის ისეთი სიყვარულით, ისეთი ნდობით, როგორითაც არასოდეს არ უსარგებლია და არც შეეძლო ესარგებლა არცერთ პარტიას, არცერთ მთავრობას მსოფლიოში.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება ნათელი დადასტურება იყო მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობისა ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. 91 მილიონზე მეტმა საბჭოთა მოქალაქემ, ანუ ამომრჩეველთა 96,8 პროცენტმა, მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში. ყველა ხმისმიმცემთა დიდმა უმრავლესობამ თავისი ხმები მისცა ბლოკის კანდიდატებს.

ამნაირად არჩეული სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ეყრდნობა მთელი ხალხის ნდობას, არის მისი ნებასურვილის, მისი გრძნობების, მის მისწრაფებათა გამომხატველი.

საბჭოთა მთავრობა ნამდვილად საერთო-სახალხო მთავრობაა. ამაშია ჩვენი წყობილების ძალა, სიდიადე, დემოკრატიზმი. საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა — მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების საძირკველია. საბჭოების ქვეყნის წითელი დროშა ამაყად ფრიალებს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. კრემლის კოშკების ლალისფერი ვარსკვლავები ბრწყინვალე შუქს სტყორცნიან კაპიტალისტური სამყაროს მორევს, იმედით აღანთებენ ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა გულს და ძრწოლას ჰგვრიან მჩაგვრელთა გულს. გმირული წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, პირველხარისხოვანი თავდაცვითი ტექნიკით შეიარაღებულნი, ფხიზლად დარაჯობენ საბჭოთა საზღვრებს, იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას. ჰყავს რა ხალხის ნდობაზე დამყარებული მთავრობა, საბჭოთა ქვეყანა ნათლად და მტკიცედ შეჰყურებს მომავალს, იცის რა, რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი ხალხის გადაგდება სოციალიზმის გზიდან.

ხალხის ნდობა დიდი საქმეა. ხალხი ენდობა თავის ბოლშევიკურ პარტიას, ვინაიდან იცის, რომ სახელდობრ მან მიიყვანა და მიჰყავს იგი სოციალიზმის დიად გამარჯვებამდე. ხალხი ენდობა საბჭოთა მთავრობას, ვინაიდან იცის, რომ მთელი მისი ძალღონე მიმართულია იქითკენ, რათა სამშობლო გახადოს მძლავრი, ხოლო ხალხის ცხოვრება — ბედნიერი. ხალხი ენდობა თავის სამეურნეო ხელმძღვანელებს, ვინაიდან ისინი განაგებენ მეურნეობას არა ერთი მუჭა კაპიტალისტების მოგებისათვის, არამედ მთელი ხალხის ინტერესებისათვის. ხალხი ენდობა თავის წითელ არმიას, მხურვალედ უყვარს იგი, ვინაიდან იგი დგას მისი მშვიდობიანი შრომის საგუშაგოზე.

მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სტახანოველთა მიღებაზე 1937 წლის 29 ოქტომბერს ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„მხოლოდ ხალხია უკვდავი. ყველა დანარჩენი — წარმავალია. ამიტომ უნდა ვიცოდეთ ხალხის ნდობის დაფასება“.

ხალხის ნდობა, მისი სიყვარული და მის მიერ აღიარება სამშობლოს შვილებს აღაფრთოვანებს ქველობისათვის, საგმირო საქმეებისათვის, მოვალეობის მამაცურად შესრულებისათვის. ჩკალოვმა, გრომოვმა და ვოდოპიანოვმა თავიანთ წინაშე დასახული ამოცანის ბრწყინვალედ გადაჭრა შესძლეს იმიტომ, რომ ისინი გრძნობდნენ ხალხის სიყვარულით სავსე მხარდაჭერას, იცოდნენ, რომ ხალხი ენდობა მათ, ხალხი მათგან საუცხოო მუშაობას მოელის. სტახანოვმა და გუდოვმა შრომის ასეთი საუცხოო ნიმუშების ჩვენება შესძლეს იმიტომ, რომ ისინი გრძნობდნენ ხალხის შეუნელებელ ყურადღებას, იმიტომ, რომ მათ იცოდნენ, რომ ხალხს უყვარს ისინი, ენდობა მათ, მოელის მამაცურ მაგალითს. მამაცი საბჭოთა მესაზღვრეები, რომელნიც ფხიზლად იცავენ საბჭოთა მიწის საზღვრებს მტრების ხელყოფათაგან, ეწევიან თავიანთ ძნელ სამსახურს, იციან რა, რომ ხალხმა მიანდო მათ უმნიშვნელოვანესი საქმე და რომ საჭიროა ამ ნდობის გამართლება. საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც თავიანთ ლაბორატორიებში, სამეცნიერო კაბინეტებში და კლინიკებში ურთულეს პრობლემებს სწყვეტენ, მუშაობენ წარმატებით, რაკი იციან, რომ მათ ზურგს უკან ხალხის სიყვარული და მხარდაჭერაა.

გაგზავნა რა დეპუტატები უზენაეს საბჭოში, ხალხმა თავის რჩეულებს დიდი ნდობა აღმოუჩინა. ხალხის ნდობა არ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ როგორც თავმოსაწონი პატივი. ხალხის ნდობა ყოველთვის შეხამებული უნდა იყოს არჩეულთა უდიდეს პასუხისმგებლობასთან, ვინაიდან ნდობა გამართლებულ უნდა იქნას საქმეებით, შრომით, მუშაობით. თავის შესანიშნავ სიტყვაში სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„ნება მიბოძეთ დიდი ბოლშევიკური მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბოლშევიკთა პარტიისადმი, რომლის წევრიც მე ვარ, და პირადად ჩემდამი, როგორც ამ პარტიის წარმომადგენლისადმი.

მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი, ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებითს მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებითს პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას ხალისით ვკისრულობ“.

ბოლშევიკებს არასოდეს არ უთქვამთ უარი და ისინი არ ამბობენ უარს პასუხისმგებლობაზე. პასუხისმგებლობის შეგნება არ აშინებს ჭეშმარიტ რევოლუციონერ-ბოლშევიკს, არამედ, პირიქით, აათკეცებს მის ძალებს. სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატებისადმი აღმოჩენილი ნდობა ხალხისა თვითეული მათგანისაგან მოითხოვს ბოლშევიკურ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოდ, სამშობლოს საკეთილდღეოდ. თავის სიტყვაში ამომრჩეველთა წინაშე ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ასეთი პოლიტიკური მოღვაწის სახე.

„ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“.

ამხანაგმა სტალინმა დაგვიხატა ხალხისათვის მებრძოლის დიადი, დიდებული სახე! მაღალი იდეალი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ხალხის თვითეული არჩეული. დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ ის ხალხის მსახურია, მისი წარგზავნილი და რომ მთელი მისი სიცოცხლე უნდა ხმარდებოდეს ბრძოლას ხალხის ბედნიერებისათვის, სამშობლოს ღირსებისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენი კონსტიტუცია, ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციისაგან განსხვავებით, აწესებს ხალხის უფლებას — რა წამსაც სურს გაიწვიოს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოდან ის, ვინც ვერ გაამართლა მისი ნდობა, ვინც განზე გადაუხვია, ვინც დაივიწყა თავისი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე.

ამხანაგი სტალინის შესანიშნავი სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, ეხება არა მარტო უზენაესი საბჭოს დეპუტატებს. ჩვენი სამეურნეო მუშაკები, დიდები, საშუალოები და პატარები, ჩვენი პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თავისი მუშაობის მასშტაბისაგან დამოუკიდებლად, ყოველთვის უნდა ისწრაფოდნენ იყვნენ ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწეები, ვინაიდან მხოლოდ ამაშია გზა ხალხის გულისაკენ, გზა ხალხის ნდობისაკენ.

სტალინური ხუთწლედების წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ცოტა როდი გაიზარდა შესანიშნავი ხელმძღვანელი ხალხიდან.

„ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში, სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას“ (სტალინი).

ხალხიდან გამოზრდილ ხელმძღვანელთა წარმატებების საიდუმლოება სახელდობრ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი — სტალინის მოწაფეები, ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოზრდილი ენტუზიასტები სოციალისტური წყობილებისა, სამშობლოს მგზნებარე, თავდადებული პატრიოტები, — თავის მუშაობაში ეყრდნობიან ხალხს, ხალხის ნდობას, და ეს აძლევს მათ ძალას, გამბედაობასა და გაქანებას. სოციალისტური დემოკრატიზმის პირობებში ხელმძღვანელ მუშაკს, რომელიც ხალხის ნდობას არ ემყარება, არ შეუძლიან ეჭიროს ხელმძღვანელი პოსტი. ხალხი ხელმძღვანელად ვერ მოითმენს ისეთს, ვინც შეეცდება იმუშაოს ჩინოვნიკურად, მასებისაგან მოწყვეტით, ხალხის კონტროლის გარეშე.

ყოველი ხელმძღვანელის წინაშე, რა უბანზეც უნდა მუშაობდეს იგი, აღმართული უნდა იყოს საბჭოთა სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური მოღვაწის ნათელი სახე, დახატული ამხანაგ სტალინის მიერ.

იყო სწორედ ასეთი პოლიტიკური მებრძოლი, ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწე — აი რას ნიშნავს ხალხის ნდობის გამართლება.

„პრავდის“ მოწინავე, 2/1

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხანკოუ, 1 იანვარი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სექტორში იაპონიის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ქალაქ ტაიანზე (შანდუნის პროვინციის დედაქალაქ ძინანის სამხრეთით). ამ რაიონში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

24 დეკემბრიდან დაწყებული, იაპონიის ავიაცია ყოველდღე ყუმბარებს უშენს ტაიანს.

ტოკიო, 31 დეკემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის ჯარებმა ძინანის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში 30 დეკემბერს დაიკავეს დაკუნლუნი (ათი კილომეტრის მანძილზე ბოშანიას ჩრდილოეთით).

სხვა ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები არ არის.

ლონდონი, 31 დეკემბერი (საკდესი). „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ 30 დეკემბერს, კანტონსა და მის მიდამოებში იაპონიის ავიაციის თავდასხმის შედეგად, მოკლულ იქნა 35 კაცი და დაინგრა 20 შენობა. კანტონში ყველაზე მეტად დაზიანდა სკოლები. იაპონელთა ბომბარდირების მთავარი ობიექტები, მათ შორის არსენალი არ დაზიანებულა.

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 30 დეკემბერი (საკდესი). იაპონიის ჯარების შეტევა ხანჯოუს რაიონში (ჯეძიანის პროვინციის დედაქალაქი) შეჩერებულია. 29 დეკემბერს ჩინეთის ჯარებმა მეოთხედ აიღეს ქალაქი გუანდე — მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ანხუეის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩინეთის ჯარები მიიწევენ ტაიხუს ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირისაკენ.

30 დეკემბერს დილით ბრძოლები ხდებოდა ფუიანის მიდამოებში (30 კილომეტრის მანძილზე ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით). საღამოს ფუიანი აიღეს ჩინეთის ჯარებმა. ჩინელთა მოწინავე რაზმებმა მიაღწიეს ჩანტანს (ხანჯოუს აღმოსავლეთით).

ხანკოუ, 31 დეკემბერი (საკდესი). უცხოელთა წრეებიდან მიღებული ცნობებით, ქალაქები ხუჯოუ და ნანსინი (ტაიხუს ტბის სამხრეთით) დაანგრიეს იაპონიის ჯარებმა. ნანსინში გადამწვარია სახლების 80 პროცენტი. ხუჯოუში (აბრეშუმის მრეწველობის დიდ ცენტრში (დარჩენილია არაუმეტეს მეოთხედი მოსახლეობისა. ქუჩებში დაახლოებით 300 მოკლული აკრიფეს.

ხანკოუ, 30 დეკემბერი (საკდესი). ათასზე მეტი იაპონელი მეზღვაური გადმოვიდა მდინარე ხანძის მარცხენა ნაპირზე უხუს პირდაპირ.

სამხრეთ ჩინეთში

ხანკოუ, 31 დეკემბერი (საკდესი). 27 დეკემბერს იაპონელებმა გადმოსხეს 200 კაცისაგან შემდგარი დესანტი მათ მიერ დაპყრობილ კუნძულ ვანგუნზე (მაკაოს მახლობლად) და შეუდგნენ სიმაგრეების აგებას. კუნძულზე ჰგზავნიან იაპონელთა ჯარებს, რომლებიც ჰყავდათ კუნძულებზე მდინარე სიძიანის დელტაში კანტონის მახლობლად.

იაპონიის ავიაციის თავდასხმანი

ხანკოუ, 30 დეკემბერი (საკდესი). 29 დეკემბერს იაპონიის თვითმფრინავებმა მოახდინეს თავდასხმა ჩიანზე (შენსის პროვინციის დედაქალაქზე). ქალაქის დასავლეთ მიდამოებში გადმოჰყარეს არანაკლებ 40 ყუმბარისა. დანგრეულია 20 სახლი; ჩინეთის ჯარებმა სროლა აუტეხეს იაპონიის თვითმფრინავებს.

30 დეკემბერს დილით იაპონელთა ყუმბარმტყორცნებმა 20 ყუმბარაზე მეტი გადმოჰყარეს სიუჯოუში (ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე). დაანგრიეს რკინიგზის ლიანდაგი ნავსადგურ ლიანიუნის მახლობლად (ძიანსუს პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი).

ორი დღის განმავლობაში იაპონელთა თვითმფრინავები სისტემატურად უშენენ ყუმბარებს ქალაქ ტაიანს (შანდუნის პროვინციის დედაქალაქ ძინანის სამხრეთით). ამის შედეგად უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მოკლულია 200-ზე მეტი მცხოვრები. დანგრეულია 500-მდე სახლი. ქალაქის მიდამოებში დანგრეულია მრავალი ისტორიული ძეგლი, რომელნიც დიდ ღირებულებას წარმოადგენენ. სამხედრო წრეების ცნობით, ტაიანში სულ გადმოყრილია არანაკლებ 700 ყუმბარისა.

ჩან კაი-შიმ უარჰყო იაპონელების მიერ წამოყენებული საზავო პირობები

ლონდონი, 1 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ პირველ იანვარს გერმანიის ელჩმა ჩინეთში ტრაუტმანმა ჩააბარა ჩან კაი-შის იაპონელთა პირობები ზავის ჩამოგდების შესახებ. ჩან კაი-შიმ დაუყოვნებლივ უარჰყო ეს პირობები.

ჩინეთის მთავრობის რეორგანიზაცია

ხანკოუ, 1 იანვარი (საკდესი). ჩინეთის ნაციონალური თავდაცვის საბჭომ 31 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება მოახდინოს რეორგანიზაცია და ცვლილებანი მთავრობასა და გენერალურ შტაბში.

ჩან კაი-ში განთავისუფლებულია აღმასრულებელი იუანის (პალატა) თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მაგრამ იგი რჩება ჩინეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად და სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ. აღმასრულებელი იუანის თავმჯდომარედ დანიშნულია ფინანსთა მინისტრი კუნ სიან-სი, ხოლო მის მოადგილედ — ჯან ციუნი, საგარეო საქმეთა მინისტრად ვან ჯუნ-გუი, კავშირგაბმულობის სამინისტრო და რკინიგზის სამინისტრო გაერთიანებულია ერთ სამინისტროდ, რომლის სათავეშიც იქნება ჩან-ძია-აო. კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი იუ ფეი-პინი იქნება გენერალურ შტაბის ტრანსპორტის განყოფილების სათავეში. ნაციონალური ეკონომიური საბჭო და რეკონსტრუქციის კომიტეტი გაერთიანებულია მრეწველობის სამინისტროსთან, რომლის სათავეშიც იქნება ვენ ვენ-ჰაო. საზღვაო სამინისტრო გაერთიანებულია სამხედრო სამინისტროსთან, რომლის სათავეშიც წინანდებურად რჩება ჰო ინ-ცინი. გადადგა განათლების მინისტრი ვან ში-ძე. მის მაგივრად განათლების მინისტრად დაინიშნა ჩენ ლი-ფუ.

გენერალური შტაბის რეორგანიზაცია გამოიხატება იმით, რომ მასობრივი სწავლების მეექვსე განყოფილების ნაცვლად შეიქმნა ორი განყოფილება: სამხედრო სწავლებისა და პოლიტიკური აღზრდისა. სამხედრო სწავლების განყოფილების უფროსად დაინიშნა ბაი ძუნ-სი გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე დატოვებით. პოლიტიკური აღზრდის განყოფილების უფროსად დანიშნულია გენერალი ჯენ ჩენი.

ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს რეორგანიზაციაში წარმოადგენს გენერალური შტაბის პოლიტგანყოფილების შექმნა და შტაბიდან შენ ლიფუს წასვლა, რომელიც გომინდანის ხელმძღვანელი არის.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობის მიხედვით).

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი.

ტერუელის ფრონტზე 29 დეკემბერს მეამბოხეებმა ორჯერ მიიტანეს იერიში რესპუბლიკელების წინააღმდეგ. იერიშები მოიგერიეს. ფაშისტთა ჯარებმა ამ იერიშების დროს გამოიყენეს ავიაცია და ტანკები.

მეამბოხეთა საარტილერიო მზადება ავიაციის მონაწილეობით სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მეამბოხეთა თავდასხმის მთავარი ობიექტი იყო პიკი დე სორო. მიუხედავად რესპუბლიკელთა ტყვიამფრქვევისა და საარტილერიო ცეცხლისა, მეამბოხეებს მიჰქონდათ განმეორებითი იერიშები, მაგრამ ვერ შესძლეს რესპუბლიკელთა ხაზების გარღვევა. ბრძოლა გაგრძელდა დღის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. იმავე დროს მეამბოხეთა ჯარებმა იერიში მიიტანეს ტერუელიდან აღმოსავლეთით მდებარე რაიონში რესპუბლიკელთა პოზიციებზე პიორესთან. რესპუბლიკელთა ჯარებმა აიძულეს მეამბოხენი უკან დაეხიათ.

ამ ოპერაციაში რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ფაშისტების ორი ტანკი.

ფაშისტების თვითმფრინავთა რამდენიმე ესკადრილიამ სცადა ყუმბარებისა და ტყვიამფრქვევთა დაშენა რესპუბლიკელთა პოზიციებისათვის ტერუელის მიდამოებში. ფაშისტთა ესკადრილიები უკუქცეულ იქნენ რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარეების ცეცხლით. რესპუბლიკელთა თვითმფრინავები სდევნიდნენ ფაშისტთა ავიაციას სარაგოსის მიდამოებამდე.

ცოტა უფრო გვიან ფაშისტთა თვითმფრინავები კვლავ გამოჩნდნენ ტერუელის რაიონში. ფრინავდნენ რა ძალიან მაღლა, მათ გადმოჰყარეს დიდი კალიბრის რამდენიმე ყუმბარა ზურგის სოფლების მიდამოებში, უმთავრესად, კამარერას, სარიონისა და პუებლა დე ვალვერდეს მიდამოებში.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 30 დეკემბრის ცნობით, მეამბოხეებმა ტერუელის ფრონტზე თავი მოუყარეს დიდ ძალებს და დიდძალ საომარ მასალას. მეამბოხეების მიერ 30 დეკემბერს მიტანილი იერიში გავრცელდა მთელ ფრონტზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო მეამბოხეთა შეტევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრთებზე. აღმოსავლეთის ფრთაზე რესპუბლიკელთა ხაზები უცვლელი დარჩა. ძლიერმა საჰაერო ბომბარდირებამ, რომელიც მეამბოხეებმა დაიწყეს 30 დეკემბერს დილა ადრიანად, აიძულა რესპუბლიკელთა ძალები დაეტოვებინათ ორი სიმაღლე სერო გორდოსთან.

დასავლეთ ფრთაზე რესპუბლიკელთა ჯარებმა დაჰკარგეს რამდენიმე პოზიცია, მაგრამ ეს არ ჰქმნის არავითარ საფრთხეს რესპუბლიკელთა ძირითადი ხაზებისათვის ტერუელის რაიონში.

მეამბოხეებმა აამოქმედეს ავიაციისა და არტილერიის უდიდესი მასები და მრავალი ტანკი. ოპერაციის დროს ორი საჰაერო ბრძოლა მოხდა.

ტერუელში რესპუბლიკელთა ჯარები 30 დეკემბერს დილის 7 საათზე შევიდნენ სემინარიის შენობაში. რესპუბლიკელებმა განთავისუფლეს მეამბოხეთა მიერ წაყვანილი 60 ტყვე. იმავე დღეს ააფეთქეს ესპანეთის ბანკის შენობა. აფეთქებამ დაანგრია დიდი წყალსაცავი, რომელიც მეამბოხეებს აწვდიდა წყალს.

მეამბოხეთა ზარალი მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელებმა შეტევა დაიწყეს ტერუელზე, განისაზღვრება სამი ათასი მოკლულით და ექვსიათასზე მეტი დაჭრილით.

რესპუბლიკელთა მეთვალყურეებმა ბოლტანიას რაიონში (უესკის ჩრდილო-აღმოსავლეთით) აცნობეს თავიანთ შტაბს, რომ მეამბოხეთა სამი ასეული უახლოვდება სოფელ ესკუდასს. რესპუბლიკელთა არტილერიამ გაჰფანტა მეამბოხეთა ეს ნაწილები და დიდი ზარალი მიაყენა მათ.

საბჭოთა კავშირში

მოწინავე მუშებისა და ინჟინრების პარტიაში მიღება

კიევი, 31 დეკემბერი (საკდესი). სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანიამ და არჩევნებმა უდიდესი პოლიტიკური აღფრთოვანება გამოიწვიეს ქარხანა „ბოლშევიკში“. ათობით მუშებმა და ინჟინრებმა შეიტანეს განცხადებანი პარტიაში მიღების შესახებ. მათ შორის არიან ინჟინერი მელნიკოვი, რომელიც აგიტატორად მუშაობდა საარჩევნო კამპანიის დროს, მექანიკურ-საამწყობლო საამქროს საზეინკლო მალის სტახანოველი ოსტატი პ. კურგანოვი, ამხ. ვ. ბუტკევიჩი, რომელიც ამას წინათ მსხმელებმა საამქროს კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს და რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს აგიტატორად მუშაობდა და სხვ.

მრავალმა მუშამ და ინჟინერმა, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დროს აგიტატორად მუშაობდნენ, შეიტანეს განცხადებანი თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების შესახებ.

* * *

ვოროშილოვგრადი, 31 დეკემბერი (საკდესი). ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ორთქლმავალმშენებელ ქარხანაში ამ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში პარტიის კანდიდატებად მიღებულია და პარტიის ნამდვილ წევრებად გადაყვანილია 45 კაცი. მათ შორის არის ახალი საორთქლმავლო საამქროს სტახანოველი მუშა ივანოვი, რომლის ბრიგადამ ვადაზე ადრე შეასრულა წლიური პროგრამა, მუშა-ზეინკალი ამხ. აგოპოვი, ქარხნის საუკეთესო აგიტატორი, საოლქო საარჩევნო კომისიის ყოფილი წევრი ამხ. სემიონოვი.

დაზგათმშენებელ ქარხანაში პარტიაში მიღებულია 15 კაცი.

სახლი, სადაც ა. მ. გორკიმ გაატარა თავისი ბავშვობის რამდენიმე წელი

გორკი, 31 დეკემბერი (საკდესი). რესტავრაციის შემდეგ იხსნება დიდი მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის პაპის, „ნიჟნინოვგოროდელ მეშჩანინის ვასილ ვასილის-ძე კაშირინის სახლი № 2“. სახლი, სადაც პატარა ალიოშა პეშკოვმა გაატარა თავისი ბავშვობის რამდენიმე წელი, დაწვრილებით აწერილია მის მოთხრობაში „ბავშვობა“. პატარა სახლ-მუზეუმში წვრილმანებამდეა აღდგენილი კაშირინის პაპის სახლის მოწყობილობა, რაც ტიპიურია გასული საუკუნის დამლევის ნიჟნინოვგოროდის მეშჩანობის ცხოვრებისათვის.

უახლოეს დროში რესტავრირებული იქნება ძველი იმ სახლის შრამელები (შენობები), სამღებრო და ქოშკრები, სადაც ა. მ. გორკიმ ბავშობა გაატარა.

საფრანგეთის კომპარტიის IX ყრილობა

პარიზი, 31 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

მარსელ კაშენი, მორის ტორეზი, პიერ ალარი, ბარტოლინი, ბერლიოზი, ბიიუ, ფლორიმონ ბონტი, კონიო, კორნავენი, ალფრედ კოსტი, ამბრუას კრუაზა, ჟაკ დიუკლო, მარკ დიუპიუი, მარსელ ჟიტონი, რაიმონდ გიუიო, ეჟენ ენაფი, ანდრე მარტი, ლეონ მოვე, მიშო, გასტონ მონმუსო, გაბრიელ პერი, რამეტი, ანრი რეინო, რენო ჟანი, როშე, როზენბლატი, პიერ სემარი, სუპე, ტიიონი, ვასარი.

ცენტრალური საკონტროლო კომისია არჩეულ იქნა შემდეგი შემადგენლობით:

ლუსიენ მიდოლი (თავმჯდომარე), **ანრი გურდო** (გენერალური მდივანი) **ბოსიუ, კლამამიუსი და ჟანენი.**

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შედგენილ იქნა შემდეგი შემადგენლობით:

მარსელ კაშენი, მორის ტორეზი, ჟაკ დიუკლო, მარსელ ჟიტონი, ანდრე მარტი, გასტონ მონმუსო, პიერ სემარი, არტურ რამეტი და ფრანსუა ბიიუ.

საფრანგეთის კომპარტიის სამდივნოს ცნობა

პარიზი, 1 იანვარი (საკდესი). „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სამდივნოს ცნობა. ამ ცნობაში ნათქვამია:

„კომუნისტური პარტიის სამდივნო ძმურ სალამს უთვლის და სრულ სოლიდარობას უცხადებს პარიზის კომუნალურ საწარმოთა მშრომელებს, რომელთაც თავისი დისციპლინირებული მოქმედებით მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს ხელფასის გადიდების საქმეში.

კომუნალური მუშები და მოსამსახურეები სწორედ მოიქცნენ, როცა ქედი არ მოიხარეს იმ გადაწყვეტილების წინაშე, რომელსაც თავს ახვევდა მათ მუნიციპალური საბჭოს რეაქციური უმრავლესობა სენის დეპარტამენტის პრეფექტთან ერთად.

კომპარტიის სამდივნო აღშფოთებით აცხადებს პროტესტს იმ დეკლარაციის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ მიიღო და რომელიც მიმართულია კომუნალური მუშებისა და მოსამსახურეების წინააღმდეგ. მთავრობის ენერგია მიმართული უნდა ყოფილიყო ფაშისტ შეთქმულთა წინააღმდეგ, საფრანგეთში სამოქალაქო ომის ორგანიზატორთა წინააღმდეგ, რომლებიც საერთაშორისო ფაშიზმის ინტერესებისათვის და მისი სახსრებით მოქმედებენ, და არა მშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც თავისი პურისა და თავისი შვილების პურის დასაცავად იბრძვიან.

კომუნისტური პარტიის სამდივნო, იმ პარტიისა, რომელიც ყოველ პირობებში ცდილობს დაიცვას მშრომელთა ინტერესები, პროტესტს აცხადებს აგრეთვე იმის გამო, რომ სამხედრო ტრანსპორტი გამოყენებულ იქნა იმ კერძო საწარმოთა საბარგო ავტომობილების შესაცვლელად, რომელთა მუშებიც ატარებდნენ გაფიცვას“.

სსრ კავშირის სამხედრო — საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი

ამხ. პეტრე ალექსანდრეს-ძე სმირნოვი

ამხ. პეტრე ალექსანდრეს-ძე **სმირნოვი,** დაიბადა 1897 წლის 17 მაისს. ბოლშევიკების პარტიაში ამხ. სმირნოვი შევიდა 1917 წლის მარტში.

1918 წლის მარტის დამდეგს ამხ. სმირნოვი დაინიშნა ჩრდილოეთის იმ მფრინავი რაზმის კომისრად, რომელსაც დავალებული ჰქონდა კულაკურ კონტრრევოლუციურ აჯანყებათა ჩაქრობა.

1919 წლის იანვარში ამხ. სმირნოვი ინიშნება ურალის მე-8 პოლკის კომისრად. ამხ. სმირნოვი იბრძოდა წითელი არმიის რიგებში აღმოსავლეთის ფრონტზე, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის და კავკასიის ფრონტებზე. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. სმირნოვი დიდ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა წითელი არმიის რიგებში. იგი იყო პარტიის X ყრილობის დელეგატად, მონაწილეობას იღებდა კრონშტადტის ამბოხების ლიკვიდაციაში. საბრძოლო დამსახურებათათვის ამხ. სმირნოვი 1921 წელს დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. წითელ არმიაში ამხ. სმირნოვი იყო პოლკის, ბრიგადის, დივიზიის, მთელი რიგი კორპუსების კომისრად.

1926 წ. იანვარში ამხ. სმირნოვი ინიშნება სამხედრო - რევოლუციური საბჭოს წევრად და ბალტიის ფლოტის პოლიტსამმართველოს უფროსად. 1935 წლის შემოდგომაზე ამხ. სმირნოვი ინიშნება ლენინგრადის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსად. აქ მან იმუშავა 1937 წლის ივნისამდე, შემდეგ დაინიშნა მუშურ - გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსად, 1937 წლის სექტემბერში კი ამხ. სმირნოვი, მთავრობამ დაამტკიცა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ.

ამხ. სმირნოვი არის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

სსრკ თავდაცვის სახ. კომისრის მოადგილე და მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი

ამხ. ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი

ამხ. **ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი** დაიბადა 1889 წელს. ბოლშევიკების პარტიაში მეხლისი შევიდა 1918 წლის მარტში.

მთელი სამოქალაქო ომი ამხ. მეხლისმა ფრონტზე გაატარა როგორც მებრძოლმა კომისარმა. მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლებში გრიგორიეველთა წინააღმდეგ ეკატერინოსლავთან. იგი იყო კომისარი მე-46 მსროლელი დივიზიისა, რომელიც მოქმედებდა სამხრეთ-დასავლეთის და შემდეგ კი სამხრეთის ფრონტზე. დაჭრილია ვრანგელელებთან ბრძოლაში. ვრანგელის არმიის აქტივიზაციის პერიოდში ამხ. მეხლისი დაინიშნა ჯარების მარჯვენა ნაპირის დამკვრელი, 4 დივიზიის შემადგენლობის ჯგუფის კომისრად სამხრეთის ფრონტზე. ამ ჯგუფის ამოცანას შეადგენდა დნეპრის გადალახვა და კახოვკის დაკავება. ეს ბრძოლა კახოვკასთან წითელი არმიის ისტორიაში შევიდა როგორც მისი ერთერთი უშესანიშნავესი ფურცელი.

საბრძოლო დამსახურებათათვის მთავრობამ ამხ. მეხლისი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. მეხლისი დიდ ხელმძღვანელ მუშაობას ეწევა ჯერ მუშკლეხინში, შემდეგ კი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

ამხ. მეხლისმა დაამთავრა მარქსიზმის კურსები და წითელი პროფესურის ინსტიტუტი. მიიღო ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1930 წლის მაისიდან ამხ. მეხლისი ხელმძღვანელობს გაზეთ „პრავდას“, უკანასკნელ თვეებში, „პრავდაში“ მუშაობასთან ერთად, განაგებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობის განყოფილებას.

„პრავდის“ 25 წლისთავისათვის მთავრობამ ამხ. მეხლისი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

ამხ. მეხლისი არის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი და საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის წევრი.

ამხ. მეხლისი არჩეულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა

1937 წ. 29 დეკემბერს ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ განიხილა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია **სსრ კავშირის 1938 წ. და აგრეთვე 1938 წლ. პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის**, საბოლოო დამტკიცებასთან.

სახკომსაბჭომ განიხილა **სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის დებულებისა და სტრუქტურის** პროექტი. პროექტს საფუძვლად უდევს ვაჭრობის ხელმძღვანელობის ერთგვარი დეცენტრალიზაციის საქონელბრუნვის დაგეგმვასა და გეგმის შესრულებაში ბიუროკრატიზმის იმ ელემენტების აღმოფხვრის აუცილებლობა, რომლებიც დაკავშირებულია ზედმეტ ცენტრალიზაციასთან, და მთელ ამ საქმეში შინავაჭრობის რესპუბლიკური და საოლქო ორგანოების როლის გადიდების აუცილებლობა.

სახკომსაბჭომ განიხილა აგრეთვე **სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის დებულებისა და სტრუქტურის** პროექტი. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მოახდინოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სტრუქტურის მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნამდვილ ყოველდღიურ ოპერატიულ ხელმძღვანელობას, და შექმნას მთავარსამმართველოებში საწარმოო - განმანაწილებელი განყოფილებანი საბჭოთა მეურნეობებისათვის ყოველდღიური კონტროლისა და მუშაობაში დახმარების გასაწევად, აგრეთვე უზრუნველჰყოს საბჭოთა მეურნეობების კვალიფიციური აგრონომიული და ტექნიკური ხელმძღვანელობა, ურომლისოდ არ შეიძლება საბჭოთა მეურნეობების გადაქცევა სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა იხელმძღვანელოს იმით, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას საკავშირო სახალხო კომისარიატის დასაყრდენი ბაზა მარცვლეულისა და მეცხოველეობის მეურნეობის ხაზით გადამწყვეტ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, მათ რიცხვში პოვოლჟიესა და ციმბირში, რათა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებს შეეძლოთ ამ რაიონებში სოციალისტური სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ნიმუშების ჩვენება. ამასთან არ უნდა იქნას დაშვებული საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი გადაჯგუფება სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატსა და მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატებს შორის.

შემდეგ სახკომსაბჭომ განიხილა ამხ. მალენკოვის მოხსენება 1937 წლის მე-4 კვარტალში უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა **განაწილების** შესახებ, — საქმე, რომელსაც ახლა გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა სახალხო კომისარიატებში, მაგრამ რომლის გატარებაშიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია.

იმის გამო, რომ უკანასკნელ დროს ფართო ხასიათი მიიღო **პერსონალური ჯამაგირების** დანიშვნამ ზოგიერთ დაწესებულებასა და სამეურნეო ორგანოში და იმის გამო, რომ ეს საქმე არ არის მოწესრიგებული, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა შეაჩეროს 1938 წლის 1 იანვრიდან პერსონალური ჯამაგირების დაწესება იმ დრომდე, სანამ სსრ კავშირის სახკომსაბჭო დაამტკიცებდეს პერსონალური ჯამაგირების დანიშვნის წესს.

„ჩრდილო პოლუსის" სადგურზე

31 დეკემბერი (საკდესი). დღის პირველ საათზე „ჩრდილო პოლუსის" მოდრეიფე სადგურის კოორდინატები შემდეგი იყო: ჩრდილო განედის 79 გრადუსი და 54 წუთი და დასავლეთ გრძედის 7 გრადუსი და 17 წუთი.

სადგურის რაიონში მთლიანი ღრუბლიანობაა, ძლიერი თოვაა. ტემპერატურა უდრის მინუს 6 გრადუსს.

ბაქოს საბჭოს პლენუმი, მიძღვნილი შოთა რუსთაველის პოემის 750 წლისთავისადმი

ბაქო, 1 იანვარი (საკდესი). ზეიმით აღნიშნავენ აზერბეიჯანის მშრომელნი გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ნაწარმოების — „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავს. დიდი პოეტის ხსოვნას მიეძღვნა ბაქოს საბჭოს პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ სარეწაოებისა და ქარხნების სტახანოველნი, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების მოღვაწენი.

* * *

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზერბეიჯანის ფილიალმა მშვენივრად გამოსცა რუსთაველის პოემა აზერბეიჯანულ ენაზე.

„სოვეტსკაია უკრაინა"

კიევი, 1 იანვარი (საკდესი). დღეს გამოვიდა პირველი ნომერი სრულიად-უკრაინის ყოველდღიური გაზეთისა რუსულ ენაზე „სოვეტსკაია უკრაინასი". იგი უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური და კიევის კომიტეტების ორგანოა. ნომერი მიძღვნილია ახალი წლისადმი. გაზეთში დაბეჭდილია ამხ. ს. ვ. კოსიორის სტატია — „ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ", ამხ. გ. ი. პეტროვსკის სტატია — „სოციალიზმის ახალ გრანდიოზულ გამარჯვებათა წელი" და სხვ.

მოჰკლეს რეიტერის სპეციალური კორესპონდენტი

ლონდონი, 1 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ტერუელის რაიონში მოჰკლეს რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი შიპშენკო და ამერიკელი ჟურნალისტი ჯონსონი, რომლებიც მეამბოხეთა ჯარებთან იყვნენ. ამერიკის სააგენტოს ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი ნეილი დაჭრილია ფეხში.

სერიოზული ყურადღება თანამგრძნობთა აღზრდას

თანამგრძნობთა ჯგუფები კომკავშირთან ერთად წარმოადგენენ ძირითად რაზმს, საიდანაც ხდება პარტიის შევსება ახალი კადრებით. თუ ამას რომელიმე პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტიული კოლექტივის ხელმძღვანელი ჯერაც ვერ მიმხვდარა, ეს იმას მოწმობს, რომ ის არა დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, უგულებელჰყოფს პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებას, არღვევს პარტიის მითითებებს უპარტიო მასებთან პარტიის კავშირის გაძლიერების შესახებ.

საარჩევნო კამპანიამ წამოსწია და „აღმოაჩინა" უპარტიო აქტივისტთა უამრავი ახალი კადრები. მათ თავი გამოიჩინეს საარჩევნო კამპანიაში გაწეული მუშაობით, კომუნისტებთან ერთად ისინი მხურვალედ იწეოდნენ აგიტაციას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების სასარგებლოდ, მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში თანამგრძნობები და კომკავშირელები გაცხოველებით ემზადებიან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შესასვლელად, — და, მიუხედავად ყოველივე ამისა თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკაში ოთხი თვის განმავლობაში თანამგრძნობთა ჯგუფში მხოლოდ 7 კაცი მიიღეს.

აღნიშნული ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. ფ. ქარუმიძე აცხადებს: ჯერ მათთვის ვზრუნავთ, ვინც უკვე თანამგრძნობთა ჯგუფშია. მათ რომ მივიღებთ პარტიაში, შემდეგ მოვკიდებთ ხელს თანამგრძნობთა ჯგუფში ახალი აქტივისტების მიღებას.

ალბათ, ამიტომ არის, რომ პარტკომი აგერ სამი თვეა აგროვებს უპარტიო აქტივისტთა განცხადებებს, რომლებიც თხოულობენ თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებას, და არ არჩევს მათ.

მაგალითად 1937 წლის 28 სექტემბერს სტახანოველმა ქალმა ამხ. ნ. საპრანოვამ შეიტანა განცხადება თანამგრძნობად მიღების შესახებ. უკვე მეოთხე თვე სრულდება, რაც საპრანოვას განცხადება პარტკომის მდივნის მაგიდის უჯრაში ხელუხლებლად დევს. ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველმა ქალმა ელიკო გელაშვილმა თანამგრძნობთა ჯგუფში შესასვლელად განცხადება ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში შეიტანა, პარტკომს კი მისი განცხადების განხილვისათვის ჯერაც არ მოუცლია.

აქ მოყვანილი ფაქტები მოწმობს, რომ № 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტკომი ვერ იჩენს ნამდვილ ბოლშევიკურ დამოკიდებულებას ამ სერიოზული საქმისადმი. არა თუ არავითარ მუშაობას არ ეწევა უპარტიო აქტივისტების თანამგრძნობთა ჯგუფში ჩასაბმელად, არამედ აყოვნებს იმ განცხადებების გარჩევასაც, რომლებიც შემოაქვთ მოწინავე მუშებს თანამგრძნობად მიღების შესახებ.

— პარტიული ორგანიზაციის მიერ დატვირთვა-დავალება ყველა თანამგრძნობს არა აქვს მიცემული, — ამბობს პარტკომის მდივანი ქარუმიძე.—სამაგიეროდ, — დასძენს ის, —ფაბკომი აძლევს მათ დავალებებს,—მე ზეპირად ვიცი, ვის რა დავალება აქვს, მაგრამ, მართალი გითხრათ, ამ დავალებათა აღრიცხვა არ მომიხდენია.

ამრიგად, თუ აუცილებლად გინდათ გაიგოთ, თანამგრძნობები რა საზოგადოებრივ დატვირთვას ასრულებენ, ფაბკომს უნდა ჰკითხოთ. პარტკომში ამას ვერ გაიგებთ, აქ აღრიცხვა არ სწარმოებს.

აქედან დასკვნა: თანამგრძნობებთან აქ ფაბკომი უკეთ მუშაობს. ასეთ ფაბკომს ჩვენ მივესალმებით, მაგრამ ასეთ პარტკომზე კარგს ვერაფერს ვიტყვით. დროა პარტკომმა შეიგნოს თავისი სერიოზული მოვალეობა, ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს, რომ თანამგრძნობთა ჯგუფებისათვის უშუალო პასუხისმგებელი არიან პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები და არა სხვა რომელიმე ორგანიზაცია.

№ 1 სამკერვალო ფაბრიკის 8 საამქროს პარტორგანიზაციიდან ექვსში თანამგრძნობთა შორის მუშაობა სუსტადაა გაშლილი.

თანამგრძნობთა შორის და პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის მე-3 საამქროს პარტორგი ამხ. ანა ალბერტაშვილი შედარებით უკეთ მუშაობს. ამ საამქროში თანამგრძნობთა ჯგუფში ითვლება 11 კაცი. აქედან ამ სამი თვის განმავლობაში პარტიაში მიიღეს 6. პარტიაში მიიღეს საუკეთესო სტახანოველი აქტივისტი ქალები: ამხ. კ. ცერცვაძე, ო. სადაგიშვილი, ე. ჯანიაშვილი და სხვ. ამ საამქროში თითქმის ყველა სტახანოველია, თვით პარტორგი ამხ. ა. ალბერტაშვილი სისტემატიურად 200 პროცენტით ასრულებს საწარმოო გეგმას. აქ უპარტიო აქტივისტთა შორისაც ფართოდაა გაშლილი მასობრივი აღმზრდელობითი მუშაობა. პარტორგს აღრიცხული ჰყავს უპარტიო აქტივისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც საწარმოო გეგმების, ისე საზოგადოებრივ დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

ამ მოწინავე პარტორგს უნდა მიჰბაძონ ჩამორჩენილებმა, პარტკომის მდივანმა უნდა უზრუნველჰყოს წარმატებული პარტორგანიზაციის მუშაობის მაგალითის გადატანა სხვა საამქროს პარტორგანიზაციებში. პარტკომის მდივანი და თვითეული პარტკომის წევრი უშუალოდ უნდა დაეხმარონ პარტორგებს თანამგრძნობთა და უპარტიო აქტივს შორის პოლიტიკური მასობრივ - აღმზრდელობითი მუშაობის გაშლაში.

ალ. გვინჩიძე
ი. ყურულოვი.

თამბაქოს ფოთლის დახარისხება კოლმეურნეობის „რიზაპ-პასტისის" მე-4 ბრიგადაში, რომელმაც თამბაქოს ფოთლის აღების გეგმა 180 პროცენტით შეასრულა. სურათზე: (მარცხნიდან) კოლმეურნენი — სანერ ოგანიანი, ავაქ ოგანიანი და ანა უზუნიანი.

ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მტრის ხელი კოლმეურნეობაში

(ხაშური, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

რამდენიმე დღის წინათ „კომუნისტის" რედაქციამ ხაშურის რაიონის სოფელ ქარელიდან მიიღო მამხილებელი კორესპონდენცია. ავტორი იტყობინებოდა იმ მავნებლობას, რომელსაც კლასობრივი მტრის ნაბოლარები სჩადიოდნენ სოფელ ქარელის კოლმეურნეობა „მესამე ინტერნაციონალში". „კომუნისტის" რედაქციამ ადგილზე შეამოწმა ამ სიგნალის სისწორე, რაც მთლიანად დადასტურდა.

გამოირკვა, რომ ამ კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე განზრახ არ ატარებდა და ამახინჯებდა სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას, ხელს უწყობდა საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-განიავებას, ხელაღებით რიცხავდა წევრებს, აბრკოლებდა პატიოსანი ერთპიროვნული მეურნეების შესვლას კოლმეურნეობაში, არღვევდა და ამახინჯებდა მოსავლისა და შემოსავლის განაწილების წესებს, არეულ-დარევა შეჰქონდა შრომის აღრიცხვაში და ცდილობდა ყოველივე ამით უკმაყოფილება გამოეწვია კოლმეურნეთა შორის.

1936 წლის დამლევს, როცა საკოლმეურნეო ქონების ინვენტარიზაცია მოხდა, საწყობის მაშინდელ გამგეს ნიკა დავითაშვილს აღმოაჩნდა დანაკლისი: ნიორის თესლი 110,5 კილოგრამი, კომბოსტოს თესლი — 44 კილოგრამი, სტაფილოს თესლი—22,5 კილოგრამი. მეორე საწყობის გამგეს ბაგრატ ხარატიშვილს დააკლდა 389 კილოგრამი კარტოფილი. საწყობის გამგესთან შეთანხმებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მოანგარიშე აუწონავად ჰყრიდნენ ბეღლებში ხორბლეულს და ითვისებდნენ. ინვენტარიზაციის დროს სოციალისტური ქონების მტაცებლებმა ვერ მოახერხეს აღურიცხველად შენახული მარცვლეულის მთლიანად გატანა და ამიტომ საწყობში აღმოჩნდა 640 კილოგრამი ხორბალი და ქერი იმაზე „მეტი", რაც აღრიცხვის მიხედვით უნდა ყოფილიყო.

სარევიზიო კომისიამ, რომლის თავმჯდომარე მიტო ბაზაშვილი იყო, ფორმალურად შეადგინა ოქმი და ამას დასჯერდა. საწყობის გამგე ნიკა დავითაშვილი თავის ადგილზე დასტოვეს და ამით ხელი შეუწყეს განეგრძო თავისი ბნელი საქმეები. 1937 წლის 20 მაისს ჩატარებული რევიზიის მიხედვით საწყობის გამგეს ნიკა დავითაშვილს დააკლდა 12.417 კილოგრამი სიმინდი, ესპარცეტის თესლი ჩაბარებული 958 კილოგრამიდან — 470 კილოგრამი. საწყობს ჩააბარეს 2.997 კილოგრამი სტაფილო, აქედან 1280 კილოგრამი დაალპეს და გაანიავეს. საწყობში აღმოჩნდა აგრეთვე შრომადღეებზე გასანაწილებელი 251 კილოგრამი კარტოფილისა და 739 კილოგრამი ხახვის დანაკლისი.

ნიკა დავითაშვილს ისევ კალთა გადააფარეს. ხორბლის, სიმინდისა და ესპარცეტის თესლის დანაკლისი, რაც 13.117 კილოგრამს უდრიდა, მას პირად ანგარიშზე დააწერეს, ხოლო 1.707 კილოგრამი კარტოფილის, ხახვისა და სტაფილოს დანაკლისი სარევიზიო კომისიამ „ნორმალურად" სცნო და ჩამოაწერა. ნ. დავითაშვილს, რომელიც საწყობის გამგეობიდან გაანთავისუფლეს, ჯერ რაც არ დაუფარავს მითვისებული პროდუქტების ღირებულება და იგი ისევ დაუსჯელად დადის და კოლმეურნეობაში „მუშაობს".

სოფ. ქარელის კოლმეურნეობას „მესამე ინტერნაციონალს" ბათუმში გახსნილი აქვს საკოლმეურნეო სავაჭრო, სადაც ხშირად სჩადიან ბოროტმოქმედებას. კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი მეხრიშვილი კოლმეურნეობიდან სავაჭროში ბოსტნეულს მეტწილად აუწონავად გზავნიდა. საქმეში კი სავაჭროდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობებს ინახავდა. კოლმეურნეობამ ბათუმში გაგზავნა 3300 კილოგრამი კარტოფილი, მეხრიშვილმა კი „ნორმალური დანაკარგის" ვარაუდით სავაჭროს 2.800 კილოგრამი დააწერა, გაგზავნეს 106 კილოგრამი ხახვი, საბუთებში 80 კილოგრამი გაატარეს და სხვ. მას შემდეგ, რაც ეს ბოროტმოქმედებანი ყველასათვის ცნობილი გახდა, საკოლმეურნეო სავაჭროს გამგე სპირიდონ მესხი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ იგი იმავე სავაჭროს ბუხჰალტრად დასტოვეს და კვლავ განაგრძობს კომბინატორობას.

საკოლმეურნეო ფერმის გამგედ მუშაობს პარტიის წევრი ანდრო გოხელაშვილი (გოხელაშვილი ამავე დროს პარტორგანიზატორიცაა), რომელსაც დაკარგული აქვს რევოლუციური სიფხიზლე და თავს ვერართმევს დაკისრებულ მოვალეობას. ფერმაში ყოვლად უხეიროდაა დაყენებული პირუტყვის მოვლა, ღორები და ძროხები საერთო ვიწრო ბინაში არიან მოთავსებული. კოლმეურნეობას ფერმისათვის სრულიად არ გამოუყვია სიმინდი და ქერი. პირუტყვს კი მარტო ჭარხლით ჰკვებავენ. მეღორეობის ფერმაში ცუდი მოვლის შედეგად 1937 წელს 57 გოჭი და მოზრდილი ღორი დაიხოცა, მოკვდა აგრეთვე ერთი ჯიშიანი ძროხა და ერთი ცხენი.

მძრალად ხვნის წინ საჭარხლე ფართობზე მინერალური სასუქი უნდა მოეპნიათ. მეხრიშვილმა კი სასუქი განზრახ გროვებად დაყარა და ნიადაგი ისე მოახვნევინა. სასუქი სულ 5 ჰექტარზე შეიტანეს, რაიონს კი აცნობეს—20 ჰექტარზე შევიტანეთო. მინდვრის თაგვების წინააღმდეგ ბრძოლა 800 ჰექტარიდან მხოლოდ 40 ჰექტარზე ჩაატარეს.

გ. მეხრიშვილი და მისი დამქაშები მავნებლურად ამახინჯებდნენ სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების იმ მუხლებსაც, რომლებიც წევრთა მიღებასა და გარიცხვას შეეხება.

სოფელ ქარელის კოლმეურნეობა „მესამე ინტერნაციონალი" დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს კლასობრივი მტრების ნაბოლარებისაგან, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ კოლმეურნეობის შემდგომ წინსვლასა და განმტკიცებას. სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომს ეკუთვნის.

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. **კ. ჩარკვიანის**

მოხსენება სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე

ამხანაგებო! ამ დღეებში საბჭოების მთელი თვალუწვდენელი ქვეყანა დღესასწაულობს უდიდესი ქართველი პოეტის, მსოფლიო ლიტერატურის ერთერთი გენიოსის 750 წლის იუბილეს. თვით ის ფაქტი, რომ 750 წელი შეუსრულდა პოეტური შემოქმედების ისეთ შედევრს, როგორიც რუსთაველის უკვდავი ეპოპეაა, უაღრესად თვალნათლივ მოწმობს ქართული ლიტერატურის უდიდეს ტრადიციებს. იგი მოწმობს სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, სიღრმესა და უდიდეს ძალას იმ ლიტერატურული მემკვიდრეობისას, რომელიც ქართულ საბჭოთა ლიტერატურას დაუტოვა ქართველი ხალხის კულტურის მთელმა უწინდელმა განვითარებამ.

ერთერთმა მომხსენებელმა აქ სთქვა, ქართული საერო ლიტერატურის თვალისგადევნება, მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის დროს, 15 საუკუნის მანძილზე შეიძლება. ამ ათასხუთასი წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა განიცადა მრავალი უდიდესი ისტორიული კატასტროფა, რომელიც დროდადრო შეარყევდა მხოლოდ მისი ცხოვრებისა, კულტურისა და ყოფის ღრმა საფუძვლებს. არაბთა ბატონობა, მონღოლ მომთაბარეთა რამდენიმე თავდასხმა, ირანელთა და თურქთა მიერ დაპყრობა—ყველა ამ სახალხო უბედურებას შედეგად მოსდევდა ქართული კულტურის მიღწევათა ნაწილობრივი დაღუპვა და განვითარების დროებითი შეჩერება.

მაგრამ პოლიტიკურ კატასტროფებს ჩვეულებრივად სცვლიდა ნაციონალური აღორძინებისა და კულტურის აყვავების ხანმოკლე პერიოდები. ხალხი აღადგენდა და ამდიდრებდა ხოლმე თავის კულტურულ ღირებულებებს, გმირულად იცავდა მათ უცხოელ დამპყრობებთან გამძაფრებულ ბრძოლაში. ხალხის მძლე სულმა დაიცვა და უბედურებათა და კოლონიური დამონების საუკუნეებზე გამოატარა ქართველი ხალხის მაღალი კულტურა, რომელიც, როგორც მითიური ფენიქსი, აღორძინდებოდა ხოლმე თვითეული, თითქოს გამოუსწორებელი, კატასტროფის შემდეგ.

მაგრამ ქართული კულტურის განვითარების ნამდვილი „ოქროს ხანა" დგება მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. სოციალისტურმა რევოლუციამ ქართველ მშრომელ ხალხს მოუტანა როგორც სოციალური, ისე ნაციონალური განთავისუფლება. დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველო, ისევე როგორც ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ჩაგრული ხალხები, ჩაება სოციალიზმის შენების დიად პროცესში. ქართველი ხალხის განთავისუფლებულმა ძალებმა სწრაფად წასწიეს წინ მისი კულტურის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ყველა დარგი.

საბჭოთა ხელისუფლების წლები საქართველოში აღნიშნულია ქართული საბჭოთა კულტურის მძლავრი ზრდით. მიუხედავად ტროცკისტ-ბუხარინელთა კონტრრევოლუციური აგენტურის ძირგამომთხრელი მუშაობისა ლიტერატურულ ორგანიზაციებში, მხატვრული ლიტერატურა ჩვენში ნამდვილად ჰყვაოდა და ჰყვავის. იქმნება ნაწარმოებნი, რომლებიც ასახავენ სოციალისტურ გარდაქმნას ხალხის ცხოვრებაში, ჩნდება ახალი ბრწყინვალე ტალანტები, მხატვრული სიტყვის ძველ ოსტატთაგან საუკეთესონი გადმოდიან საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებზე და აქტიურად ებმებიან ახალი სოციალისტური ლიტერატურის შექმნაში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის ზრდისათვის ახალი ფართო პერსპექტივები გადაშალა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ახალი ქართული კულტურის მეგობრისა და მშენებლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო დახმარებით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა სძლია ჯგუფობრიობას თავის რიგებში და მოსპო ზღუდეები, რომლებსაც ეგრეთწოდებული პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზაზე ჰქმნიდა.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომლის ხელმძღვანელთა უმრავლესობა, როგორც შემდეგ გამოირკვა, წარმოადგენდა მტრის აგენტურას ლიტერატურულ ორგანიზაციებში, ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას ლიტერატურულ ფრონტზე. აცხადებდნენ რა ლოზუნგს „თანამგზავრი ან მტერი", ლიტერატურაში ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები მტერთა ბანაკისაკენ ისროდნენ ძველი სკოლის საუკეთესო მწერლებს.

ისინი განსაკუთრებით ძლიერ მავნებლობდნენ კლასიკოსებისადმი დამოკიდებულების საკითხში. ებრძოდნენ რა ლენინის გეზს წარსული კულტურული მემკვიდრეობის ათვისების საქმეში, „რაპპელები" ცდილობდნენ საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა მოეწყვიტნათ ქართველი კლასიკოსების საუკეთესო ტრადიციებისაგან. ქართული ლიტერატურის უდიდესი წარსულიდან ისინი ყურადღების ღირსად სთვლიდნენ არა შოთა რუსთაველის დიად პოემას, არა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვ. შემოქმედებას, არამედ ხელოსანი პოეტის იოსებ დავითაშვილის პრიმიტიულ ლექსებს.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაციისა და სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი მისი იდეურ-შემოქმედებითი გეზის განადგურების შემდეგ დაიშალა მწერლების სხვა კარჩაკეტილი, განცალკევებული დაჯგუფებებიც. მოხდა საბჭოთა მწერლების საზოგადოებრიობის კონსოლიდაცია. დადგა ინტენსიური შემოქმედების პერიოდი. ქართველ მწერალთა ძირითადი მასა აქტიურად ჩაება სოციალიზმის მშენებლობისათვის წარმოებულ მუშაობაში.

უკანასკნელი ხუთი წელი იყო წლები ქართული საბჭოთა ლიტერატურის მძლავრი აღმავლობისა. ჩვენი ლიტერატურის განვითარების ეს პერიოდი ხასიათდება მდიდარი თემატიკით, ჟანრების მრავალფეროვნებით და სერიოზული მხატვრული ტილოებით, რომლებიც ასახავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ცხოვრებისა და ბრძოლის სხვადასხვა მხარეებს.

ჩვენი მწერლები ცდილობენ მოგვცენ სტალინური ეპოქის ადამიანის სახე, ისინი მართლად ხატავენ საკოლმეურნეო სოფლის სინამდვილეს, მის განუხრელ ზრდას და წინსვლას შეძლებული, კულტურული ცხოვრების გზით.

ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრების, ადამიანთა სოციალისტური ურთიერთობის ჩვენება ქართველი საბჭოთა პოეტების, პროზაიკოსებისა და დრამატურგების ნაწარმოებათა უმრავლესობის ძირითად თემას შეადგენს.

ამასთან ერთად ჩვენი მწერლების შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს ისტორიულ თემებს, რომლებიც გვიჩვენებენ ხალხის გმირულ წარსულს, მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის.

გადავდივარ რა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცალკე სახეების განხილვაზე, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა საბჭოთა პოეზიამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

ყველას ახსოვს ლიტერატურის ახლო მყოფი და მტრული ელემენტების მიერ წამოწყებული დავა იმ საკითხზე, რომ ლირიკა საჭირო არ არისო. საბჭოთა პოეზიის შემდგომმა განვითარებამ უკუაგდო და გააცამტვერა საბჭოთა ლიტერატურის მტრების კონტრრევოლუციური თეორია. ჯანსაღი სოციალისტური ლირიკა მტკიცედ შევიდა საბჭოთა პოეზიის არსენალში და მასში ერთერთი საპატიო ადგილი დაიჭირა.

თავიანთ გულწრფელ ლექსებში, რომლებშიც სიახლე და სითბო გამოსჭვივის, საქართველოს პოეტები უმღერიან საბჭოთა ხალხის მდიდარი და სისხლსავსე ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. ჩელუსკინელთა ისტორიული ეპოპეა, გმირული გადაფრენები ჩრდილოეთის პოლუსით ამერიკაში, წითელ მესაზღვრეთა საგმირო საქმეები, კოლხიდის ჭაობების ამოშრობა, სტახანოველთა საწარმოო რეკორდები—მხურვალე გამოძახილს პოულობენ საქართველოს საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში.

განთავისუფლებული კაცობრიობის ქარტიის—სტალინური კონსტიტუციის—მიღებას ქართველი პოეტები გამოეხმაურნენ მთელი რიგი მაღალმხატვრული ლექსებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდი **სტალინისადმი** მიძღვნილი პოეტური ნაწარმოებნი. ბელადის სახე, როგორც ჩვენი გამარჯვებების სიმბოლო, ახალი განთავისუფლებული კაცობრიობის სიმბოლო, ჩვენი პოეტებისათვის აღფრთოვანების უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

წელს გამოცემული კრებული „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე" წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა უდიდესი აღფრთოვანებითა და ტემპერამენტით, რა გულწრფელობითა და სიყვარულით ქართველი პოეტები და მთელი ქართველი ხალხი ასხამენ ხოტბას სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების შემომქმედს ამხანაგ **სტალინს**.

ორდენოსანი პოეტის ალიო მაშაშვილის ლექსი „სამშობლო ბელადისა", რომელიც დაბეჭდილია ამ კრებულში, უთუოდ ერთერთი საუკეთესო ნიმუშია უკანასკნელი წლების ქართულ საბჭოთა პოეზიაში. პოეტი ცდილობს დაგვიხატოს ბელადის სახე საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების გრანდიოზულ გარდაქმნათა ფონზე. ის აღტაცებულ სტროფებში გამოსთქვამს ხალხის მადლობას დიდი **სტალინისადმი** და, მიმართავს რა მას, ამბობს:

„ბრმა იქნებოდა ჩემი ქვეყანა,
რომ არ ბრწყინავდეს შენი თაობა,
რომ არ უცემდეს მკერდში ძლიერად
შენი გული და გამბედაობა".

მეორე მოწინავე საბჭოთა პოეტი სიმონ ჩიქოვანი თავის ლექსში „ბელადის თვალი" ადიდებს სტალინის სიტყვისა და სტალინის ნებისყოფის ძალას:

„სტალინი ამბობს...
...რიონიც ამგვარ შეგნების მერე
იბრუნებს მხარს და გაარღვევს
საკანს".

ამავე კრებულში დაბეჭდილია ს. ჩიქოვანის მეორე ლექსი „სიმღერა **სტალინზე**", რომელსაც მართლა მღერიან მთელ საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანის სახით ჩვენ გვყავს ერთერთი წამყვანი საბჭოთა პოეტი. ჩიქოვანი განთავისუფლდა „ლეფის" ტრადიციებისაგან, რაც ერთ დროს მას ამძიმებდა, მან სძლია ფორმალისტური გატაცებანი და მტკიცედ დადგა საბჭოთა ლიტერატურის ნიადაგზე. უკანასკნელ წლებში მან მოგვცა საუცხოო ლექსები საბჭოთა თემებზე, რომლებსაც მაღალი პოეტური ოსტატობა ახასიათებს.

საქართველოს სახალხო პოეტის ორდენოსან გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „სტალინი" ბრწყინვალე ფერადებით მოცემულია სტალინური საქმეების სიდიადე და გამოხატულია სიყვარულის უდიდესი გრძნობა მისდამი, ვინც დიად საბჭოთა ხალხს ბედნიერი ცხოვრება მიანიჭა.

გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციამდელი პოეტური კულტურის საუკეთესო წარმომადგენელია, რომელიც თავიდანვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. მან შესძლო „მთაწმინდის მთვარის" და „ლურჯა ცხენების" მომღერლის ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა და საბჭოთა პოეზიის ფრონტზე მოწინავე ადგილის დაკავება. მისი პოემა „ეპოქა" ჰიმნია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისადმი, ჰიმნია ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანებისადმი, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ.

კრებულის სხვა მონაწილეთაგან საჭიროა აღინიშნოს ა. აბაშელი, რომელმაც დასწერა საუცხოო ლექსი „ფოლადაური", მიძღვნილი დიდი **სტალინისადმი**. ეს ლექსი მით უფრო შესანიშნავია, რომ აბაშელი ეკუთვნოდა მწერალთა მემარჯვენე დაჯგუფებებს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამდე მცირე შემოქმედებითს აქტივობას იჩენდა.

ა. აბაშელის უკანასკნელი ლექსები მოწმობენ, რომ პოეტმა შესძლო წარსულის მძიმე ტვირთის მოშორება და საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე დადგომა. იგი გამოეხმაურა კოლხიდის ამოშრობის დარგში წარმოებულ გრანდიოზულ მშენებლობას საუცხოო ლექსით „ოქროს საწმისი", რომელშიც ადიდებს სოციალისტური შრომის ძალასა და ძლიერებას, რომელნიც საუკუნოვან ჭაობებს ციტრუსებისა და ჩაის აყვავებულ პლანტაციებად აქცევენ.

იგივე უნდა ითქვას ვალერიან გაფრინდაშვილის შესახებაც, რომელიც უკანასკნელ წლებში განთავისუფლდა „ცისფერყანწელების" ტრადიციებისაგან.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ს. შანშიაშვილის ლექსი „იოსებ სტალინს" და სანდრო ეულის ლექსი „დედის ნახვა".

ს. შანშიაშვილმა, ჩვენი რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის ერთერთმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შესძლო გაეშალა თავისი შესანიშნავი შემოქმედებითი შესაძლებლობანი როგორც პოეზიაში, ისე, განსაკუთრებით, დრამატურგიის დარგში. აღნიშნულ

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმი

პოეტი და სამყარო

ნ. ტიხონოვის სიტყვიდან

შვიდი საუკუნის წინად რუსთაველმა ქართულად დასწერა წიგნი „ვეფხის-ტყაოსანი", მრავალ ენაზე ვკითხულობთ ახლა ამ წიგნს და გვაკვირვებს იგი. ჩვენ დავამხეთ ყველაზე უძველესი მითი ბაბილონის გოდოლის შესახებ. შეიყარნენ ხალხები და მათ ესმით ერთმანეთი, და ამ ენას ეწოდება ხალხების საბჭოთა მეგობრობის ენა, ვკითხულობთ რა, ვხედავთ, რომ რუსთაველის წიგნი შედის მსოფლიო დიდების პანთეონში. იციან იგი უმცირეს ქართულ სოფელშიც კი. ასე შეიჭრა ეს წიგნი ხალხის სულში, ასე იყო იგი დიდხანს ხალხის თანამგზავრი — მთელ ისტორიულ გზაზე ამხნევებდა მას წყვდიადით მოცულ დღეებში და სიხარულს ჰფენდა საამო წლებში.

იგი შესტრფოდა ყოველივე ცოცხალს, ყოველივე საუკეთესოს, რაც იყო ადამიანში და ადამიანის ოცნებაში, საუკეთესოს, რაც კი იყო მისი ეპოქის ისტორიაში, თავის პოემაში, რომელსაც დიდხანს ბადალი არ ჰქონია, მან შექმნა ხალხური და მრავალმხრივი ხასიათები.

რუსთაველი იყო რაინდი, მეომარი. რატომ არ იღუპებიან მისი გმირები ბრძოლაში? ისინი არ უნდა დაიღუპონ. სასიცოცხლო საწყისი მათში უაღრესად სრულია, მათ ძარღვებში მჩქეფარე სისხლი სდის, მათ ახასიათებს სიმამაცე, ვაჟკაცობა — ისინი უნდა დარჩნენ ხალხის მეხსიერებაში მხოლოდ თავიანთი პატიოსნებით და გმირული საქმეების სიდიადით. ხალხი მათში ხედავდა თავის დამცველებს, უცხოელი დამპყრობელებისაგან სამშობლოს თავდაცვის ძალას.

ასეთი მებრძოლი პოეტის სიცოცხლის აზრია—ემსახუროს მომავალს, გადალახოს დღევანდელი სიძნელეები, ხალხური სიბრძნე, შესული მასში, როგორც ხალხის შვილში, მან ხალხსავე დაუბრუნა ისეთი ლექსით გარემოცული, რომ დარჩა, როგორც თაფლი, ყველა ნადიმზე, დარჩა დიდხანს, დიდხანს.

თავის სიცოცხლეში იგი არ ყოფილა ისე სახელგანთქმული, როგორც ძველი რომაელი პოეტები.

მწუხარებისა და საშინელების ეპოქაში, რომელსაც მანამდე განვლილ დროსთან შედარებით უკეთესს უწოდებენ, იგი სცოცხლობდა მგოსნის სრული სიცოცხლით, იდგა რა ერთი თავით მაღლა თავის თანამედროვეებზე.

მონუმენტალური ფორმით შემოსა მან ის ისტორია, სადაც უბრალოდ შეყვარდნენ ადამიანები, საუკეთესო ადამიანები, ისეთები, როგორიც კი მას შეეძლო მოენახა იმ დროს, იმედის ადამიანები, გმირები, რომელთა შთამომავლობასაც როგორღაც უნდა შეენარჩუნებია მსოფლიო სამართლიანობის საზღვრებში. გაღვივებია და აღეზარდა მასში ის გრძნობები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდნენ აღორძინების ეპოქის ადამიანის შეგნებას.

ბავშობის ეპოქა, ბურუსის, ფანატიკოსობისა და ისეთი სიბნელის ეპოქა, რომლის მსგავსი დედამიწას არ ენახა, თავდებოდა. რუსთაველი იყო ერთი პირველი ხმათაგანი ამ წყვდიადში მაუწყებელი განთიადისა, რომელიც ნელა ახლოვდებოდა.

ამ წყვდიადში ადამიანების მეგზურებად რუსთაველმა სიყვარული და მეგობრობა გამოაცხადა. გამოხატა მან წარმოუდგენლად ღრმა გრძნობები. ადამიანის მხნელი გრძნობები.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად".

რა ტანთსაცმელი შეეფერებოდა რუსთაველს? იგი იყო მგოსანი. მას შეეძლო ვაჭრებისათვის, რომელთაც მრავალი სავაჭრო საქმე იციან, პასუხი გაეცა სიმამაცით, გმირობით, ძლიერი ადამიანის საკადრისი თავმდაბლობით.

...„ჰე, ძმანო, წყლანცა მოგისმენია,
ღმერთსა შეესმა ნაკადი, როცა თქვენ თვალთა გდენაა;
მან დაგარჩინა, მე რა ვარ, მე, გლახ, რა მომილხენია!
რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!"

მაგრამ იგი არ მალავდა, რომ მას ჰყავდა კიდევ მეორე ცხენი—ქართული ლექსის ფრთიანი მერანი, იგი მღეროდა ტკბილ შაირს, როდესაც თბილისს უახლოვდებოდა, იგი მაღლობიდან დასცქეროდა მტკვარს და ხიდს, ძველი დედაქალაქის ტაძრებს.

პოეტის მარტოობა აიძულებდა მას ისე აღემაღლებია გმირი, რომ მას ზომიერების გრძნობის შეულახავად შესძლებოდა ეთქვა:

„ესე ასეთი სოფელი არვისგან მისანდობელი,
წამის კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი.
რასა ვინ ემებთ, რას აქნევთ? ბედი მაყივნებელი".

ერთი თქმულება, გადმოგვცემს, რომ რუსთაველი იერუსალიმში გარდაიცვალაო. პოემის დასასრულ მან გმირების შესახებ სთქვა:

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
მწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისა".

უცნობმა მესხმა დასწერა საშუალო საუკუნეების ბოლო ეპოქის ადამიანისათვის ოქროს ბარათი, შესაშვები აღორძინების საუკუნეში, სადაც კვლავ გაბრწყინდება ადამიანის სხეული მისთვის უკან დაბრუნებული სილამაზით, სადაც ცხოვრების ახალი ოსტატების საღებავებით მოხატავენ ქალაქებისა და ციხე-კოშკების სისხლითა და ტალახით გასვრილ კედლებს. ვინმე მესხმა იმ დღეებში, როცა ქალი უკვე ჩაკეტილი იყო ჰარამხანაში, ისლამის მუდმივ მონობაში, როცა ქართველი ქალი თითქმის თავისი ბედიბლით უკვე გაჰყვა თავის მუსლიმანი დის მაგალითს, რუსთაველმა უმღერა ქალს, აღამაღლა იგი, შექმნა რა განსაცვიფრებელი სახეები, რომლებიც დღემდე გვაკვირვებენ თავიანთი სიცხოველით.

ზოგიერთ თანამედროვე მკითხველს უცნაურად მოეჩვენება, რომ ეს ძლიერი ადამიანები, ბრძოლებში გამოწრთობილი მეომრები, ყოველგვარ ნევრასტენიას მოკლებულნი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ სინიდისის ყოველგვარი ქეჯნისაგან თავისუფალი ადამიანები ასე ხშირად სტირიან, როდესაც მეგობრობასა და სიყვარულზე საუბრობენ.

რაშია აქ საქმე? ხასიათების ველური აულაგმავი სილაღე და მშფოთვარება ილაგმებოდა სრულიად საწინააღმდეგო ღონისძიებებით — მდუმარეობით, დუმილით. სატრფო იუბნება თავის მიჯნურს:

„აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვი,
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია..
ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გყავს შენად სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად".



და ეს საკმაო იყო, რომ რაინდს შეესრულებია წარმოუდგენელი საგმირო საქმეები, რომელთაგან ყველაზე ძნელი იყო მარტოდ ყოფნა.

რუსთაველის მიერ დახატული ქალები არიან გაბედული, მამაცი და ჭკვიანი ქალები, რომლებიც ასე მიმართავენ თავიანთ გმირს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია?.."

ამას იუბნება ნესტანი თავის მიჯნურს.

როცა ნესტანი ტყვედ ჩავარდება ქაჯეთის ციხეში, იგი განსაცვიფრებელ ვაჟკაცობას იჩენს და გვაგონებს დელიმანის, მესოპატამელი სულთანის ასულის მელაზიის (რომელმაც გაანთავისუფლა ბოემუნდი) გმირობას. ასეთი ამბავი მაშინ, ალბათ, ხშირი იყო და რუსთაველის ქალის ხსეთ მოქმედებაში უეჭველად არის ისტორიული სიმართლე.

ძლიერი და ჯანსაღი ადამიანი მოუწოდებს ბრძოლისაკენ თავისუფალი სუნთქვის, თავისუფალი ცხოვრების, სიხარულის, მშვიდობიანი შრომის უფლების მოსაპოვებლად, ყველა ხალხს შეუძლია ჰპოოს ამ ფიგურებში ასეთი ბრძოლის მაგალითი, მაგრამ ერთი რამ კიდევ შეუძლიათ ამოიკითხონ მათ ამ პოემის თავებში. ეს არის მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი, მისი დაცვა მტრის თავდასხმისაგან, ბრძოლები მის სამშობლოს დიდებისა და სახელისათვის.

ამ პოემაში იყო აღთქმა, რომელიც დრომ შეასრულა, მაგრამ მასში ახლაც არის იმის საწინდარი, რომ—თუ ერთი წუთით ნესტანს წარმოვიდგენთ სიმბოლოდ, ვთქვად საქართველოს სიმბოლოდ—არასოდეს ეს ნესტანი, ეს ჩვენი დღევანდელი საქართველო მოტაცებული არ იქნება ახალი ქაჯებისაგან და ვერავითარი ახალი ხატაველები ვერ გაბედავენ ფეხი შემოდგან ჩვენი საყოველთაო საბჭოთა სამშობლოს თავისუფალ მიწაზე.

ჩვენმა ტარიელებმა და ავთანდილებმა შეითვისეს ძველი რაინდების ფიზიკური ძალა და უაღრესად ჯადოსნური თვისებები: მტრის დამარცხების თვისება ჰაერში და, წარმოიდგინეთ, მის ტერიტორიაზე. მაგრამ ახლა ეს უკვე ეხება ახალ პოემას, რომლისათვისაც თავის დროზე მოინახება მასალაც და პოეტიც.

რუსთაველის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, როგორ შესრულდა მისი ჭეშმარიტი აფორიზმი: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია".

მან მისცა საუკუნეებს, ხალხს თავისი პოემა და ხალხიც, რომელმაც ეს პოემა 700 წლის მანძილზე თავისი ყურადღებით გაამდიდრა, უხდის სიყვარულის ხარკს თავის შორეულ წინამორბედს (ტაში).

მაყვალა მრევლიშვილი

ვეფხის-ტყაოსანი

ქარგაზე იტყვიან:
ვისი ძოძო უწოდნიათ,
სად ირწეოდა მადლიანი, ზალღის აკვანი!
წამო, ვიაროთ,
მაპოვნინე დილის ნიავო,
ჩემი სამშობლოს მზით ნაბანი
მგოსნის სავანე.

* * *

— სად არ ვეძებე შენი კვალი?
მოხატულ თაღებს,
ძველ ხელნაწერებს
ამოვკრიბე გრძნობათა ველი,
ფურცლები თითებით გადავხსენი წლების წიაღი,
და მდუმარ მოყმეს
კრძალულ ფიქრით თვალი შევავლე;
თამარის ეშხი ვეფხის ბრჭყალად დაგესო გულზე,
მაგრამ უცხოელს, უთვისტომოს ვინ გიტოლებდა.
ტკივილით ვუმზერ
შენსკენ დახრილ წამწამთა გორზებს,—
ქაჯეთის ციხედ რომ აღტყვია სამეფო ტახტი..
დილად გაიჭრე შემოძარცულ იმედის მძევლით,
ალალი გული
დაიჩაგრა და გაიქირდა,
ისე ატირდი — მარგალიტად შედიოდა ცრემლი,
ისე იმღერე, რომ სიმღერა
ერთ მზითვად ღირდა!
სიკვდილ-სიცოცხლის შეუწონე მიჯნური თავი,
მუხლ-ქვეშ მოჰგუდე ტრფობის ვეფხი
მოწიფულ დროთა,
ბრძოლა მოიგე,
გამოფხიზლდი და ვეფხის ტყავით
ვაჟკაცის ხელში
უნაზესი პოემა თრთოდა!..

* * *

შენმა ნათქვამმა
გაარღვია მანძილის ქარგა,
საუკუნეთა შვიდი კარი მარჯვედ გაშლია,
დღესაც იმავე ძალით ფეთქავს
და გვათბობს, რადგან
ყოველ სტრიქონში სიყვარულის ნაღვერდალია.
ქართულ საგანძურს:
ლექსს, თუ სიბრძნეს,
ალბათ ნაწერი
შოთას შაირის დედა-ენა.
სდევდა შუქიბად,
— ამაოდ დაშვრა — ღალადებდა შური და მტერი.
— მნელეთს გვინათებს! —ხალხი ერთხმად უპასუხებდა.
ლხინზე შეგვესწარ,—
ახლა რამდენ ენაზე მღერი,
შუქურ - ვარსკვლავად ერთი სამშობლოს ოქროს რუკებთან.

* * *

სად არ გიპოვე —
შენი თქმები ჰკაზმავენ თიხას,
ჩახუტებულან ოიტრის მხარზე,
თასის უბეში.
ფერად ქვირთებით ნაქსოვ ხალზე მიდენით ზიხარ,
ანათებ ეშხით მოხატული თვალის ნუშებით;
აი, მგოსანო,
უკვდავება ასეთი გვერგო.
პურის ძნებივით დაგვიფინე სხივით ზანებში,
და ეზარება
ძმურ ერების მხურვალე გვერას
შენი სიმღერა
ხელით-ხელში საგოგმანები!

„ვეფხის-ტყაოსნის" საიუბილეო გამოცემა

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი". ეს უკვდავი პოემის ერთერთი საუკეთესო გამოცემაა.

პოემის აკადემიურ გამოცემაში 1669 სტროფია. წიგნს დართული აქვს პავლე ინგოროყვას წერილი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა" და პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

წიგნის მხატვრული გაფორმება ყოველგვარ ქებას ღირსია. ილუსტრაციები შესრულებულია მხატვარ ირაკლი თოიძის მიერ, გარეგანი და შინაგანი მხატვრული გაფორმება ეკუთვნით მხატვრებს ლ. გრიგოლიას და ლ. ქუთათელაძეს.

ტირაჟი 10.000 ცალი. წიგნი დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე, ჩასმულია ძვირფას ყდაში და ღირს 30 მანეთი.

ლექსში პოეტი უმღერს ბელადს: „მოხველ მღელვარე ხალხის გულიდან, ხალხის გულთანვე ცეცხლის მიმტანი".

ს. ეულის ლექსში ლირიკული კილოთი გადმოცემულია მომენტი ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის შეხვედრისა თავის დედასთან. პოეტმა შესძლო ხაზი გაესვა იმ ღრმა ადამიანობისათვის, რომელიც ესოდენ ახასიათებს ამხანაგი სტალინის სახეს. სანდრო ეული ჩვენი პოეზიის აქტიური ძალაა.

აღსანიშნავია აგრეთვე დიდი ეპიკური ტილოს შექმნის ცდა, რასაც ხელი მოჰკიდა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. პირველი ნაწილი მისი პოემისა „ბავშვობა და ყრმობა" დაწერილია დიდი პოეტური აღფრთოვანებით. პოეტი წარმატებით მუშაობს ფართოდ განზრახული და ფრიად პასუხსაგები ნაწარმოების დასამთავრებლად. გ. ლეონიძე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ერთერთი იმ პოეტთაგანია, რომელთაც ყველაზე მეტად კითხულობენ და რომლებიც ყველაზე ნაყოფიერი არიან.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ პოეტ ილო მოსაშვილის შემოქმედებაზე. მოსაშვილი წინათ ეკუთვნოდა მემარჯვენე მწერალთა ჯგუფს „არიფიონს". უკანასკნელ წლებში მან სწრაფად იწყო ამ ჯგუფის შემოქმედებითი პრინციპებისაგან განთავისუფლება და ქართული საბჭოთა პოეზიის ერთერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი გახდა. მისი პოლიტიკურად გამახვილებული ლექსები გაჟღენთილია დღევანდელი დღის პათოსით და მათი უმრავლესობა წარმოადგენს გამოხმაურებას საბჭოთა ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ქართული პოეტური სიტყვის ოსტატებს ეკუთვნიან აგრეთვე იოსებ გრიშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რაჟდენ გვეტაძე.

„რაპპელების" პოლიტიკის მეოხებით იოსებ გრიშაშვილს დიდხანს შერჩა „გაუსწორებელი რეაქციული" პოეტის ეპიტეტი, მაგრამ თავისი შემოქმედებით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ გრიშაშვილმა დაამტკიცა, რომ მას ღირსეულად შეუძლიან საბჭოთა მწერლის საპატიო სახელწოდების ტარება.

კარგი ლექსები მოგვცეს და უკანასკნელ დროს საკმაოდ აქტიურნი გახდნენ პოეტები: პეტრე სამსონიძე, ი. ლისაშვილი, ქ. ბობოხიძე, შ. აფხაიძე, ვ. ჟურული, ვ. გაბესკირია, მ. პატარიძე, ა. ქუთათელი და სხვ.

პოეტური ახალგაზრდა თაობის ზრდა საქართველოში სასიხარულო სურათს იძლევა. ხუთი-ექვსი წლის მანძილზე ჩვენში იდეურად და თეორიულად გაიზარდნენ ისეთი პოეტები, როგორიც არიან: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი კაჭახიძე. ეს ამხანაგები მკითხველებს შორის პოპულარობით სარგებლობენ. მათ უკვე აქვთ საკუთარი პოეტური ხმა და, მიუხედავად მათი შემოქმედების ცალკეული ფორმალური არასრულყოფისა, ისინი ერთგულად ემსახურებიან თავის ხალხს. მთელი რიგი ახალგაზრდა დამწყები პოეტები დაჯგუფებული არიან ჟურნალ „ჩვენი თაობის" გარშემო. ამისულაშვილი, უბილავა, შამათავა, გ. აბაშიძე და სხვ. უკვე გამოირჩევიან თავიანთი უდავო პოეტური ნიჭით. ახალგაზრდა პოეტებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე და დაეუფლონ პოეტურ ოსტატობას, რომელიც მათ შეუძლიანთ ისწავლონ და კიდეც უნდა ისწავლონ მოწინავე საბჭოთა პოეტებისა და ჩვენი კლასიკოსებისაგან.

ვამთავრებთ რა ლაპარაკს პოეზიის შესახებ, არ შეიძლება არ შევეხოთ ორ ნიჭიერ პოეტს, რომლებსაც, ასე ვთქვათ, დიდი რევოლუციამდელი სტაჟი აქვთ და რომლებიც დღემდე იჩენენ მცირე წარმატებებს საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე გადასვლის საქმეში. ესენი არიან პოეტები: კ. ნადირაძე და კონსტანტინე ჭიჭინაძე. ორივე ამ პოეტის შემოქმედებას ახასიათებს განყენებული ლირიკა, ბუნდოვანი სახეები. საბჭოთა თემატიკის უგულებელყოფა. ჭიჭინაძისა და ნადირაძის ლექსებს რომ კითხულობთ, ხშირად გაგიძნელდებათ განსაზღვრა, თუ რომელ ეპოქას ეკუთვნიან ისინი.

საქართველოს სხვა პოეტებთან ერთად კოლაუ ნადირაძე წავიდა შემოქმედებითს მივლინებაში კოლხიდაში. ყველა იმ მოვლენიდან, რაც ხდება ამ, არსებითად რომ ვთქვათ, ახალ მატერიკზე, რომელიც აღმოჩენილია ბოლშევიკების მიერ, მან შეამჩნია მხოლოდ ერთი-ტყემლის აყვავება. ლექსს სათაურიც ასეთი აქვს „თეთრი ტყემალი". ხოლო კ. ჭიჭინაძის საუკეთესო ლექსი „რიონის აპოლოგია" ადიდებს ბუნების ბრმა სტიქიას, საზოგადოებრივ მოვლენათაგან სავსებით აბსტრაგირებულად.

ჭიჭინაძეც და ნადირაძეც სერიოზულად უნდა დაუფიქრდნენ თავიანთ შემდგომ შემოქმედებითს გზას. მარტო უიდეო ტყემლის რომანტიკითა და სიმბოლისტური ბურუსით სოციალიზმის ეპოქაში შორს ვერ წახვალ.

◆

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძველი ქართული პროზის ბევრი შესანიშნავი ძეგლი, ქართულ პროზას მაინც არა აქვს ისეთი ბრწყინვალე ისტორია, როგორიც ქართულ პოეზიას. ქართულ პროზას წარსულში არა ჰყავს ისეთი შეუდარებელი ოსტატი, როგორიც იყო პოეზიაში გენიალური შოთა რუსთაველი. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართულ ლიტერატურაში ჰეგემონია განუყოფელად ეკუთვნოდა პოეზიას.

ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი ახალ ქართულ პროზას. მისი მოთხრობები ალსავსეა ხალხური სიბრძნით და გვხიბლავს თავისი იდეური მიზანდასახულობითა და მხატვრული უშუალობით. აკაკი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, დავით კლდიაშვილმა და იგნატე ნინოშვილმა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, შექმნეს კლასიკური ეპოქა ქართული პროზის განვითარებაში.

რეაქციისა და მენშევიკური დიქტატურის პერიოდში ქართული პროზა გადაგვარდა და დეგრადაციას განიცდიდა. იდეურ-მხატვრული მნიშვნელობით დიდი ნაწარმოებების ადგილი დაიკავა უბადრუკმა ნოველებმა, ესკიზებმა, ეროტიკული და ხშირად პორნოგრაფიული შინაარსის მინიატურებმა.

მხატვრული პროზა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ იკავებს მისთვის შესაფერ ადგილს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

ქართველ პროზაიკოსთა თანამედროვე კადრები შესდგებიან როგორც რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის წრიდან ჩვენთან მოსული მწერლებისაგან, ისე იმ მწერლებისაგან, რომლებიც როგორც მხატვრები საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბდნენ.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენებით, ჩვენმა მწერლებმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შექმნეს დიდი ნაწარმოებები, რომლებშიაც ასახულია სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში. ასახულია ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლა წარსულში. ასეთ პროზაულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა", კონსტანტინე ლორთქიფანიძის „იმერეთი", შალვა დადიანის „ურდუმი", რ. გვეტაძის „თეო" და „ჭიაკოკონა", ს. კლდიაშვილის „ფეროფლი", დ. შენგელაიას „ბელადის ყრმობა" და სხვ.

მაგრამ სწორი არ იქნება ვიგულისხმოთ, რომ თანამედროვე ქართული პროზის ნაწარმოებები მთლად შედევრებია. არა, ეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის ასე. ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი პრობლემა სოციალისტური ეპოქის ადამიანის ჩვენებისა, პრობლემა ჩვენი სამშობლოს გმირ ვაჟთა და ქალიშვილთა ჩვენებისა. ამხანაგი ლ. ბერია თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენს გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში ღირსეული მხატვრული, სრულფასოვანი ასახვა".

ჩვენმა პროზაიკოსებმა ბევრი და ბევრი უნდა იმუშაონ ამ ხარვეზის შესავსებად.

ქართული პროზის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ოსტატად სამართლიანად ითვლება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატად ამასწინათ არჩეული ძველი მწერალი შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი. პირველი რომანი რომელმაც განსაზღვრა მისი სახე, როგორც მხატვრული პროზის დიდი ოსტატისა, დაწერილი და გამოქვეყნებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამ ნაწარმოებში ავტორი ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული თავისი ძველი მსოფლმხედველობის ელემენტებისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხატვრის ოსტატური კალმით მან შესძლო ცოცხალი ფერებით დაეხატა ეპოქა, ცხოვრება და ყოფა XII საუკუნის ქართველი საზოგადოებისა, რომელმაც წარმოშვა ქართული ლიტერატურის სიამაყე შოთა რუსთაველი. დრამატურგიის დარგში ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად დადიანი განაგრძობს ქართული საბჭოთა პროზის გამდიდრებას ძვირფასი ნაწარმოებებით უმთავრესად ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი უკანასკნელი რომანი „ურდუმი". რომანის თემაა მეგრელ გლეხთა ცნობილი აჯანყება მეფის მოხელეებისა და სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. რომანი აგებულია მდიდარ ფაქტიურ მასალაზე და დაწერილია მშვენიერი ქართული ენით.

რომანის მთავარი გმირია აჯანყების ხელმძღვანელი, მჭედელი უტუ მიქავა, რომელსაც თანამედროვეებმა სამეგრელოს დანტონი უწოდეს. აჯანყებამ ფართო მასშტაბი მიიღო. გლეხებმა, მიქავას ხელმძღვანელობით, დროებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებაც კი მოახერხეს და თავისი წინამძღოლი სამეგრელოს უზენაეს მმართველად გამოაცხადეს.

შემდეგში აჯანყება ჩაქრობილ იქნა მეფის ჯარების მიერ.

ამ შესანიშნავი აჯანყების ისტორია მადლიანი თემაა საბჭოთა მწერლისათვის. შალვა დადიანმა თავის რომანში დაგვიხატა ქართველი მშრომელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, ქართველ გლეხთა საუკუნეობრივი ბრძოლა თავის მჩაგვრელებთან. მწერალმა სიყვარულით დაგვიხატა სახალხო გმირის უტუ მიქავას ფიგურა, რომელზეც ქართველმა ხალხმა თქმულებები და ლეგენდები შეჰქმნა.

ამხანაგ დადიანის რომანი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი იქნება დიდი ნაბიჯი წინ როგორც ავტორისათვის, ისე მთელი ქართული პროზისათვის.

დამახასიათებელია მეორე ცნობილი საბჭოთა ბელეტრისტის ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი გზა. გამოვიდა რა სამწერლო ასპარეზზე შესანიშნავი რომანით „ტარიელ გოლუათი", ლეო ქიაჩელმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოიჩინა თავი, როგორც თვალსაჩინო მწერალმა-რეალისტმა. ამ რომანში 1905 წ. რევოლუციური ეპიზოდების ცოცხლად გადმოცემამ დიდი პოპულარობა შეუქმნა ავტორს.

მაგრამ რეაქციის წლებმა თავისი დაღი დაასვა ქიაჩელის შემოქმედებას. ქიაჩელმა უღალატა რეალისტურ ხელოვნებას და ამ წლებში სანტიმენტალურ მინიატურებზე და სიმბოლისტურ-დეკადენტური სტილის ესკიზებზე გადავიდა.

საბჭოთა სინამდვილემ გაუღვიძა ლ. ქიაჩელს მისწრაფება რეალიზმის პოზიციებზე დაბრუნებისა. 1927 წელს მან გამოაქვეყნა დიდი რომანი „სისხლი", რომელშიაც სცადა მოეცა სურათი მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლისა. მაგრამ ეს მან ვერ გამოუვიდა. რომან „სისხლში" ავტორმა დაუშვა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ერთგვარი ფალსიფიკაცია— ვერ მოახერხა მკაფიოდ აესახა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი ამ ბრძოლაში.

უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ლ. ქიაჩელის შემოქმედებაში ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა. მისი სახით ამჟამად ჩვენ გვყავს დიდი შესაძლებლობების მქონე მხატვარი, რომელიც მტკიცედ დგას საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე. რომან „გვადი ბიგვაში", რომელიც ამჟამად იბეჭდება, ქიაჩელი გამოდის როგორც დაკვირვებული საბჭოთა მხატვარი-რეალისტი, რომელიც მკითხველის წინაშე შლის ადამიანთა სოციალისტურად გარდაქმნის რთულ პროცესს. რომანის გმირი გვადი ბიგვა დაცემის უკანასკნელ საზღვრამდეა მიყვანილი კაპიტალისტური ურთიერთობით სოფლად. მაგრამ აი, დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობა ჩაღდება. შრომა, რომელიც ასე სძულდა გვადი ბიგვას და რომელსაც ასე გაურბოდა იგი, ხდება ღირსების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. მოწინავე საბჭოთა ადამიანების — კოლმეურნეობის მშენებლების კოლექტივი ხელს ჰკიდებს გვადი ბიგვას გარდაქმნას. საკოლმეურნეო სინამდვილე მას, ექსპლოატატორული წყობილებით მორალურად და ზნეობრივად დამახინჯებულს, ამაღლებს თავისი ადამიანური ღირსების შეგნებამდე. იწყება ბიგვას მორალური ამაღლება, მასში ილვიძებს მისწრაფება პატიოსანი საკოლმეურნეო შრომისაკენ, რომელმაც მისი მეზობელი კოლმეურნენი ბედნიერ, შეძლებულ ცხოვრებამდე მიიყვანა.

ქიაჩელის რომანი მთლიანი და წარმტაცი სიუჟეტით განირჩევა. ის დიდხანს დარჩება ერთერთ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებად, რომელიც გვიხატავს საკოლმეურნეო სოფელს და მის შესანიშნავ ადამიანებს.

მწერალი რაჟდენ გვეტაძე, რომელიც თავის დროზე „ცისფერყანწელ" პოეტთა ჯგუფს ეკუთვნოდა, მალე განთავისუფლდა სიმბოლისტურ-დეკადენტური იდეური ბურუსისაგან და საბჭოთა ლიტერატურის აქტიური ძალა გახდა. მისი პირველი რომანი „თეო" უხვად შეიცავს დრამატიულ მომენტებს და საკმაოდ მკაფიოდ გადმოგვცემს კოლმეურნეობის წინა საბჭოთა სოფელში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის სურათს.

რომანში „ლაშაურის საღამოები", რომელიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა, გვეტაძე მიზნად ისახავდა ეჩვენებინა საბჭოთა ინტელიგენტის სახე. ავტორი გაიტაცა რთულმა კომპოზიციამ და დახლართულმა სიუჟეტმა და მან თავის მიზანს ვერ მიაღწია. მისი გმირები ვერ ახდენენ საბჭოთა ინტელიგენტების — სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეების შთაბეჭდილებას.

რაჟდენ გვეტაძემ უნდა გაითვალისწინოს ეს გაკვეთილი თავის შემდგომ მუშაობაში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პატარა ფელეტონი

ქვევრში ხომ არ გეძინა, შე ოჯახქორო

— შე ტუტუცო, რედაქციებში რომ დაძვრები, რას დაძვრები, შენა ტყავში ვერ დაეტევი?

სასამართლოს დადგენილება შენ კანონი ხომ არ გგონია? თხუთმეტმა სუდიამ რომ დაადგინოს, თუ მე პროკურორი, არ დავეთანხმე, ისე ნიკაკიხ! დადგენილება ძალაში ვერ შევა, ფეხს ვერ შეადგამს.

მაგრამ შენ მანამდე არ დაანებებ თავს კანკლაობას, სანამ მაგრად არ ჩაგავამ.

ბიჭო, შე სინდისზე ხელაღებულო, ჯუჯუ ჯანჯღავასთან რა გაქვს სადაო? ჯუჯუს ყველა იცნობს, როგორც პურმარილიან კაცს, შენსავით ზეთი კი არ ჩამოსდის სახეზე.

საქმის კაციც არის. მისი ხელმძღვანელობით ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობა ფეხზე წამოდგა. ტყუილად ნუ გალანძღავ კაცს, თორემ რაც მართალია, მართალია, ჯუჯუ ოქროსავით ბიჭია. ბროლია, რაღა, ბროლი.

სხვას რომ თავი დავანებოთ, იმან ბევრი რამ გამწვალა. რომ გამაგრდი, ახლა ჰა გინდა სამაგიერო გადაუხადო? თხა რომ გასუქდა, მგელს უთხრა: „ხოში მაქვს, უნდა შეგჭამოო". ასეა შენი და ჯანჯღავას საქმე.

ცხაკაიას რაიონის პროკურორმა კვაშილავამ ალექსანდრე მგალობლიშვილი მუქარით ვერ შეაშინა. იგი მაინც თავისას გაიძახის:

— პროკურორი კი ხარ, მაგრამ მაინც გავბედავ და გეტყვი, რომ შენ სიმართლეს არ იცავ. ერთი წელია დაგდევ—დამეხმარე, სასამართლოს განაჩენი სისრულეში მოიყვანე—მეთქი, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევ.

შენც კარგად იცი, რომ ჯუჯუ ჯანჯღავა დამნაშავეა. მომხსნა იმისათვის, რომ მისი უკანონო განკარგულება არ შევასრულე. მაშინ მე ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის მომმარაგებელი ვიყავი, ჯანჯღავამ თბილისში ორი ვაგონი შეშა გამომიგზავნა — თუ ძმა ხარ, კერძოდ გამიყიდე და გროშები დამახვედრეო. მე ეს არ შევასრულე. რა ვიცოდი, თუ აღებული ფულით მას კოვერკოტის პალტოს შეძენა უნდოდა!

გაჯავრდა ჯანჯღავა, ერთბაშად მოუვიდა გულიც, კუჭიც, ღვიძლიც, ადგა და მომხსნა.

ჯანჯღავას მოქმედება სასამართლომ უკანონოდ ჩათვალა და აღმადგინა.

ადგილობრივი სასამართლო შესცდაო, და უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. საქმე აქაც ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა. ჯანჯღავას უფლება არ ჰქონდა კოვერკოტის პალტოს შესაძენად სახელმწიფო შეშა გაეყიდნაო.

საქმეში რესპუბლიკის პროკურორიც ჩაერია. განკარგულება გასცა — მგალობლიშვილი აღადგინეთ, განაცდური აუნაზღაურეთო. მაგრამ მგლის თავზე რომ სახარება იკითხო, რა გამოვა!

მომართვებას კოშკი აშენდა, დრო მიდის, შენ კი, პროკურორო, ზომებს არ ღებულობ. ამის შემდეგ, თუ საწყენად არ დაგრჩება, ერთ სიტყვას გეტყვი: სირცხვილია, რომ საბჭოთა პროკურორის სახელს ატარებ.

ამ სიტყვამ პროკურორი კვაშილავა გააცეცხლა. ან როგორ შეძლო ეს სიტყვები მოეთმინა, როცა ის მოქალაქის მატერიალურ მდგომარეობაზე „ზრუნავს". კვაშილავა ხომ იმის მომხრეა, რომ ჯანჯღავას... ჰქონდეს კოვერკოტის პალტო, ძვირფასი ნივთები. მერე რა, რომ ეს პალტო სახელმწიფო შეშით იქნება შეძენილი, ვათომ რა დაშავდებაო?

— შენისთანა მახინჯები რომ საქმეს არ აფუჭებდნენ, ორი ვაგონი შეშის დანაკლისს სახელმწიფო ვერც კი იგრძნობდა. ჯანჯღავა კი უფრო შნოიანად მოეწყობოდა ვინც ხელს უშლის შნოიან ცხოვრებას, ჯანჯღავას მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ის ხალხის მტერია. შენ ხალხის მტერი ხარ, და როგორ შემიძლია უზენაესი სასამართლოს დადგენილება და რესპუბლიკის პროკურორის განკარგულება შევასრულო და ჯანჯღავას მტერი სამსახურში აღვადგინო.

— მართალია, — ჩაერია სიტყვაში ჯუჯუ ჯანჯღავა, — პროკურორი მართალს ამბობს.

— აი, ხომ ხედავ, ჩემი სიტყვების სისწორეს ხალხი ადასტურებს, — განაცხადა კვაშილავამ.

ჯანჯღავამ ახლა უფრო გაბედულად ამოიდგა ჩავარდნილი ენა, მოხსნა გუდას თავი და რაც ენაზე მოადგა ყველაფერი სთქვა მგალობლიშვილის საგინებლად.

— მგალობლიშვილი საეჭვო პირია, მეგონია ეგ მავნებელია, კონტრრევოლუციონერი, შემდეგ პროკურორს დაბალი ხმით ჩაულაპარაკა, კიდევ ხომ არაფერი სისაძაგლე იცი, რომ მგალობლიშვილს მივაკეროთო. ნიუელი ამდენი ბრალდებიდან ერთი მაინც არ დადასტურდება.

— მგალობლიშვილს რომ დიდი შოთას სიტყვები, რომლებიც ჩემებურად გადავაკეთე, ახსოვდეს, დავას აღარ დამიწყებდა: რასაცა შეჭამ შენაა, რაც არა დაკარგულიაო.

— ჰო და, რაც შევჭამე, ჩემია და უფლება არავის აქვს პირად საკუთრებას შეეხოს. ასე მესმის მე პირადი ქონების ხელშეუხებლობის საკითხი. მგალობლიშვილს კი ეს დღემდე ვერ გაუგია. ქვევრში ხომ არ გეძინა, შე ოჯახქორო, სად იყავი, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტება ვერ გაიგე. კარგი, და აღარ გამხსენებოდა შოთას სიტყვები, მაშინ ხომ დავიღუპებოდი?

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შენი სამსახურში აღდგენა არ შემიძლია ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენ არ შეგიძლია სამსახურებრივი საიდუმლოების შენახვა: მაგალითად, ვერ შეინახე ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საიდუმლოება. შტრეიკბრეხერი გამოდექი და გამეცი. ქვეყანას აცნობე, რომ ორი ვაგონი შეშის ფასით კოვერკოტის პალტოს შეძენა მინდოდა. მეორე, შენი აღდგენა არ შემიძლია იმიტომ, რომ მავნებლობას ვერ ჩავიდენ. შენ რომ ახლა ერთი წლის განაცდური 10.000 მანეთი მოგცე, ეს ხომ მავნებლობა იქნება. სახელმწიფო თანხების უმიზნოდ გაფლანგვა. აქ ფულზეა ლაპარაკი, ფულზე. საშენო ფული საჩემო შეშა ხომ არ გგონია?

ასე ლაპარაკობს ჯუჯუ ჯანჯღავა, რომელსაც თავისი ძმა და პირის ზიარება პროკურორი კვაშილავა მხარს უჭერს და უდანაშაულო მგალობლიშვილს იუდა ისკარიოტელივით ეპყრობა.

როგორც ჩანს, რესპუბლიკის პროკურორის ამხანაგ ტალახაძეს ერთი მიმართვის შედგენა კიდევ დასჭირდება, მაგრამ ეს იქნება საბოლოო, რომელიც კვაშილავას პროკურორად ყოფნა არყოფნის საკითხსაც გადასწყვეტს და მგალობლიშვილსაც აღადგენს თავის უფლებებში.

შილა მახვილაძე

რატომ ჭიანურდება ტრაქტორების რემონტი

(ხაშური, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან).

ტალახში და მტვერში დასვრილი ტრაქტორები, გუთნები, კულტივატორები და სათესი მანქანები მტს-ის ეზოში უპატრონოდ არის დაყრილი. იარაღ-მანქანების ზოგიერთ ნაწილს და მექანიზმს მოუვლელობით ჟანგი მოჰკიდებია. მტს-ის ხელმძღვანელნი კი გაიძახიან:—ფარდული არა გვაქვს და რა ჩვენი ბრალიაო.

1937 წელს ოსიაურის მტს-ს იარაღ-მანქანების შესანახი ერთი ღია ფარდულის ასაგებად 13.000 მანეთი მისცეს, მაგრამ აქ ეს თანხა არადანიშნულებისამებრ დახარჯეს. ისეც რომ არ იყოს, ოსიაურის მტს-ის მუშაკებს ფარდულის უქონლობა იარაღ-მანქანების ცუდად მოვლაში მაინც ვერ გაამართლებს. ტრაქტორების, გუთნების, კულტივატორებისა და სათესების ტალახისაგან გასუფთავება და დაზეთვა უფარდულოდაც შეიძლებოდა, მაგრამ ამ საქმისათვის აქ, როგორც ეტყობა, გული არ შესტკივათ.

ოსიაურში არც ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტს აქცევენ სათანადო ყურადღებას. შესაკეთებელია სულ 55 ტრაქტორი. აქედან 34 ტრაქტორი გეგმით 1 იანვრამდე უნდა შეკეთებულიყო, მაგრამ ჯერ ეს დავალება მთლიანად არ არის შესრულებული.

ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დაწესებული ვადების მიხედვით ტრაქტორების რემონტი ყველგან 15 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს ვადა ოსიაურის მტს-მა უხეშად დაარღვია. 10 სარემონტო ბრიგადიდან ერთმა ბრიგადამ მუშაობა 1 დეკემბერს დაიწყო, ხუთმა ბრიგადამ — 10 დეკემბერს, ხოლო დანარჩენ 4 ბრიგადას მუშაობა 21 დეკემბერსაც არ ჰქონდა დაწყებული.

სახელოსნო სრულიად მოუწყობელია. არ არის საჩარხი, სახარატო და სატვიფრო დაზგები. სახელოსნოს არ აქვს ისეთი აუცილებელი ხელსაწყოებიც კი, როგორიცაა რაიბერი, გასაღებები, ქლიბი, ჩაქუჩი და სხვ. და ასეთ ხელსაწყოებს თვით მუშები ეზიდებიან თავიანთი სახლებიდან. ხაშურის საორთქლმავლო დეპოდან ნათხოვარ და სახლებიდან მოტანილ სამუშაო იარაღს ბრიგადები მორიგეობით ხმარობენ, რაც იწვევს ხშირ მოცდენას და შრომის ნაყოფიერების დაცემას.

სარემონტო სახელოსნოში, რომელიც წინათ ბოსელს წარმოადგენდა, არ არის მოწყობილი განათება და ბრიგადები ერთ ცვლად მუშაობენ. სახელოსნო არც კადრებითაა უზრუნველყოფილი. სამი მჭედლის ნაცვლად ამჟამად აქ მხოლოდ ერთი მჭედელია და ისიც მეტად დაბალი კვალიფიკაციისა. არა ჰყავთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებისა და სახელოსნოს მექანიკოსები.

ცუდად არის დაყენებული აღრიცხვა. ამის გამო შეუძლებელია გაიგო, ვინ მუშაობს კარგად, ვინ ცუდად, რა დრო უნდება ტრაქტორის შეკეთებას. არ არის დაწესებული გამომუშავების ნორმები, ამას აქ რატომღაც საჭიროდაც არ სთვლიან.

სახელოსნოს მოუწყობლობასა და კადრების უყოლობასთან ერთად ტრაქტორების რემონტს სათადარიგო ნაწილების უქონლობაც აბრკოლებს. მთელი წლის რემონტისათვის გათვალისწინებული თანხები ოსიაურის მტს-ში საზამთრო რემონტის დაწყებამდე დახარჯეს. გარდა ამისა, მტს-ის ხელმძღვანელებმა ვერც იმ თანხის აკრეფის გეგმა შეასრულეს, რომელიც გაწეული მომსახურებისათვის მათ კოლმეურნეობებისაგან ერგებოდათ. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ ოსიაურის მტს-ს ახლა სათადარიგო ნაწილების შესაძენი საშუალებაც არ გააჩნია.

რემონტის ხარისხი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. სწორედ ამიტომაა, რომ შეკეთებული ტრაქტორებისა და საერთოდ იარაღ-მანქანების მიღება სარემონტო ბრიგადებისაგან, სპეციალური აქტის შედგენით, უშუალოდ მტს-ების დირექტორებსა და უფროს მექანიკოსებს აქვთ დაკისრებული. ოსიაურში კი ასე არ ხდება. 20 დეკემბრისათვის აქ 8 ტრაქტორი იყო შეკეთებული და არცერთ მათგანს არ ჰქონია გავლილი შემოწმება, მაშინ როცა შეკეთებული ტრაქტორებიდან ოთხს აკლია წინათვლის სალტეები. მტს-ის დირექტორი კ. კუცია ამ სერიოზული ნაკლის გამოსწორებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიწსახკომი დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს ოსიაურის მტს-ს რემონტის საქმეში. მიწსახკომმა დაავალა ოსიაურის მტს-ის დირექციას რემონტის დაწყებამდე შეეძინა სახელოსნოსათვის საჭირო ხელსაწყოები და დაზგები, მაგრამ როცა საქმე თანხების გაღებაზე მიდგა, აქ მიწსახკომის მარცვლეულის სამმართველომ „თავი შეიკავა". სამაგიეროდ 6.000 მანეთი მისცა მტს-ს ხელსაწყოების რემონტისათვის.

— ხელსაწყოები არა გვაქვს და რა უნდა შევაკეთოთ. მოგვეცით ნება ეს თანხა ხელსაწყოების შესაძენად მოვიხმაროთო,—მიმართეს ოსიაურელებმა მიწსახკომს, მაგრამ ამ სამართლიან მოთხოვნას ყური არავინ ათხოვა.

მტს-ს დახმარება ესაჭიროება. მიწსახკომის მუშაკები მართალია ხშირად ჩადიან ოსიაურში, არკვევენ მდგომარეობას, ადგენენ აქტებს, ჰპირდებიან დახმარებას, მაგრამ მარტო აქტებითა და მშრალი დაპირებებით არაფერი გამოდის.

როდემდის გაგრძელდება ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ტრაქტორების საზამთრო რემონტისადმი?

უკვდავი „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ გამოუშვა მხატვრული პანო-საბანი, რომელზედაც გამოსახულია ტარიელი და ვეფხი. ფოტო სტოლიაროვისა და რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

რუსთაველის იუბილე აფხაზეთში

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის დაწერის 750 წლისთავის აღსანიშნავად აფხაზეთის ასსრ ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა — დადგას შოთა რუსთაველის ბიუსტი სოხუმის სანაპირო პარკში (სახელმწიფო თეატრის პირდაპირ). პარკს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი.

დიდი ქართველი პოეტის სახელი მიენიჭა აგრეთვე აფხაზურ საშუალო სკოლას და სოხუმის ქართულ მე-5 საშუალო სკოლას.

სამასწავლებლო ინსტიტუტში

3 იანვარს ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში გაიმართება შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებას გააკეთებენ: პროფ. გ. თავზიშვილი — „პედაგოგიური იდეები „ვეფხის-ტყაოსანში"", პროფ. კ. კაპანელი — „შოთა რუსთაველი და საშუალო საუკუნეები", დოც. ტ. რუხაძე — „შოთა რუსთაველი".

დასასრულ, გაიმართება მხატვრული საღამო-კონცერტი. უცხო ენათა ფაკ. სტუდენტები წაიკითხავენ „ვეფხის-ტყაოსნიდან" ადგილებს, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ინსტიტუტის ლიტერატურის კაბინეტი აწყობს გამოფენას, სადაც ნაჩვენები იქნება „ვეფხის-ტყაოსნის" ძველი გამოცემები ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სომხურ ენებზე.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„დამნაშავენი დაუსჯელი დარჩნენ"

ამ სათაურით „კომუნისტის" 23 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ამხ. ა. ბურთიშვილის წერილი, რომლის ავტორი აღნიშნავდა, რომ საქ. ჯანსახკომის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური საწყობის პასუხისმგებელი მუშაკები თავიანთი ჯიბის გასქელების მიზნით ეწეოდნენ მედიკამენტებით სპეკულაციას, ამახინჯებდნენ ფასების საბჭოთა პოლიტიკას და მომხმარებლებს ზომა-წონაში ატყუებდნენ.

მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ლეკვეიშვილი გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები, რაც მომხდარი იყო ძველი ხელმძღვანელობის დროს, დადასტურდა. ახალი ხელმძღვანელობის მიერ მიღებულია შემდეგი ზომები: ცენტრალური საწყობის თანამშრომელი ილია ამაშუკელი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში, მედმომგასაღების ბუხჰალტერიის თანამშრომელი არონ ჯანიაშვილი მოხსნილია სამუშაოდან. სააფთიაქო სამმართველოს მედმომგასაღების დირექტორის ამხ. ა. თავაძეს გამოეცხადა გაფრთხილება.

ამღერებული ახალგაზრდობა

ახალგაზრდა მაქსიმ გორკი 15 კაპიკს ღებულობდა დღიურ ქირას. მძიმე სამუშაოს შეუსრულებლობისათვის მას არაერთხელ მოხვედრია ქარხნის მეპატრონის მწარე წკეპლები. ერთხელ მას ოცდათექვსმეტი ჩიწვი ამოუღეს დაბეჟილ ზურგში. პატარა პავკა კორჩაგინიც გროშებისათვის ლაფავდა სულს ბნელ სარდაფში.

ესპანელი ბავშვი აიდა ლაფუენტა ხომ კაციჭამია ფაშიზმის პირსისხლიანმა ჯალათებმა განგმირეს ალესილი ხიშტებით, ასეთი იყო ბნელ წარსულში ჩვენში ახალგაზრდობის ბედი, ასეთია იგი ახლაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ჰიტლერისა და მუსოლინის ბინძური ჩექმებით ითელება გაუფურჩქნელი ვარდებისა და ყვავილების ბაღნარი. მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას პირველ ამღერებისთანავე ჩასწყვეტია ხმა. სკოლა, კინო, თეატრი მათთვის ქაჯეთში დამწყვდეული ნესტან-დარეჯანი იყო. თუ ისინი საახალწლოდ მცირედ ალმაფრენას გრძნობდნენ, ეს იყო მხოლოდ ერთი დღის მოჩვენება.

სულ სხვაა ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც სულ სხვა ჰანგებზე მღერის. მათი სიმღერა ჩვენი სამშობლოს გამარჯვებისა და აყვავების მძლავრი ჰიმნია. სტალინურმა შუქმფინარმა მზემ ისინი სამუდამოდ ააცდინა გიქურის გზას. მათთვის გაიხსნა ცოდნისა და კულტურის საუკუნეობით გამოკეტილი კარები. გმირობისა, მამაცობისა და ცოდნის მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა მათთვის სამუდამოდ გაწმენდილია ეკალ-ბარდებისაგან.

სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი თაობა „გამარჯვებულის აწეული თავით შედის ახალ წელში". ახალი წლის ღამე ჩვენმა ბავშვებმა მღერითა და ცეკვით, სიცილითა და სიხარულით გაატარეს. ნაძვისხეებთან პირველი საახალწლო მისასალმებელი სიტყვა ჩვენი გამარჯვების შემოქმედს დიდ სტალინს უძღვნეს. სკოლებმა მხიარული და მიმზიდველი დილა-საღამოებით გაართეს ბავშვები.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მათთვის სპეციალურად მოამზადა გასართობები, სათამაშოები და შუქმოციმციმე ნაძვისხეები. 31 დეკემბრიდან 3 იანვრამდე მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მათთვის გამართა საახალწლო ნაძვისხის 7 დილა-საღამო, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის ათასხუთასმა ბავშვმა. თეატრი მომსახურებას უწევს სულ 46 სკოლას.

მსახიობები გ. კუპრაშვილი, გ. აბაშიძე, თ. თვალიაშვილი, მ. აღნიაშვილი და სხვები ოსტატურად შერჩეული მასობრივი სათამაშოებით, დეკლამაციითა და სიმღერით ართობენ სკოლებიდან მოსულ ბავშვებს. მათთვის თეატრს დამზადებული აქვს 4500 მანეთის საახალწლო საჩუქრები. ბავშვები უსაზღვრო სიხარულით ღებულობენ საჩუქრებს „თოვლის პაპებისაგან". ყოველ დილა-საღამოზე მონაწილეობას ღებულობს 200 ბავშვი.

3 იანვრიდან 7 იანვრამდე გაიმართება ბავშვთა თვითმოქმედების საღამოები, რომლებზედაც ისინი გამოვლენ სიმღერებით, ცეკვებით და ლექსებით. ახალგაზრდობა საახალწლოდ მღერის აყვავებული სამშობლოს საგალობელს.

ელ. უზილავა

ავტომობილები სასწრაფო დახმარებისთვის

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სასწრაფო დახმარების საქმის მდგომარეობისა თბილისში. გადაწყდა სასწრაფო დახმარების ქალაქის საუბნო პუნქტებს მისცენ თითო ავტომობილი. პირველ რიგში ავტომობილები უნდა გადაეცეს ლენინისა და 26 კომუნარის სახ. რაიონულ პუნქტებს.

ერთი მსუბუქი ავტომობილი უნდა მიეცეს სასწრაფო დახმარების სადგურს ქალაქის გარეუბნების მომსახურებისათვის, ხოლო ორი მსუბუქი ავტომობილი გამოყოფილი იქნება მშობიარე ქალთა გადასაყვანად ბინებიდან სამშობიარო სახლებში.

პირველი—საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 9 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე (დადგენილება გულისხმობს თბილისის გათანასწორებას მოსკოვთან, ლენინგრადთან, კიევთან, და მინსკთან ექვსი ჯგუფის საქონლით მომარაგების მხრივ) თბილისში გაიხსნა და დეკემბრის ბოლო რიცხვებიდან მუშაობა დაიწყო წმინდა შალეულის სპეციალიზებულმა მაღაზიამ, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში.

აღნიშნული მაღაზია დროებით მოთავსებულია პლეხანოვის პროსპექტზე № 199 შენობაში, ხოლო 15 თებერვლიდან გადავა რუსთაველის პროსპ. № 23-ში. მაღაზიას უხვად აქვს ძვირფასი მაუდი, ინდიგო, დრაპი, კოვერკოტი და სხვა წმინდა შალეული, აგრეთვე თბილი საბნები და საბნის პირები.



წმინდა შალეულის სპეციალიზებული მაღაზიის პროექტი.

თბილისი. — მე-30 სკოლის პიონერები (მარცხნიდან მარჯვნივ) შალვა ბურდილაძე და ზურაბ გონგაძე ათვალიერებენ თვითმფრინავის მოდელს. ფოტო სტოლიაროვისა და რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

ფილმი „დიდი მოქალაქე"

ლენინგრადის ორდენოსან კინოსტუდიაში დამთავრდა დიდი მხატვრული ხმოვანი ფილმის—„დიდი მოქალაქის" გადაღება. ფილმი გვიხატავს ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლას სოციალიზმისათვის, გვიჩვენებს ტროცკისტული, ზინოვიევური და სხვა ბანდიტების—უცხო დაზვერვის აგენტების, საზიზღარი ფაშისტური ჯაშუშების, დივერსანტებისა და ტერორისტების სახეს. ფილმის მოქმედება იწყება 1925 წელს.

მთავარ როლებს ასრულებენ ნ. ბოგოლიუბოვი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ბერსენევი და სხვ.

მუშაობა „დიდ მოქალაქეზე" გრძელდებოდა ორწელიწადნახევარს. გადაღებას მოუნდა ხუთი თვე.

თბილისის კონსერვატორიის რეკონსტრუქცია

მას შემდეგ, რაც მოსკოვში უდიდესი წარმატებით ჩაიარა ქართული მუსიკის დეკადამ, სსრ კავშირის მთავრობამ მნიშვნელოვანი სახსრები გადასდო თბილისის კონსერვატორიის რეკონსტრუქციისათვის და მასთან საკონცერტო დარბაზის მოსაწყობად.

რეკონსტრუქცია მთავრდება. ძველ შენობას ორი სართული დაედგა, რის გამოც კონსერვატორია ორ ახალ სართულში 1200 კვ. მეტრ ფართობს მიიღებს.

22 ახალ ოთახში მოთავსდება კლასები, საპროფესორო, სამასწავლებლო სხდომათა დარბაზი, თეორიული მეცადინეობათა კაბინეტები. ოთახებს შორის ბგერაშეუვალი კედლებია. ყველგან პარკეტის იატაკია. მთელს შენობაში ცენტრალური გათბობაა მოწყობილი.

საზამთრო არდადეგების შემდეგ დაშენებული ორი სართული ექსპლოატაციაში გადავა და კონსერვატორიის შენობის გაფართოების საჭიროება ძირითადად დაკმაყოფილებული იქნება.

დაწყებულია 800 ადგილიანი დიდი საკონცერტო დარბაზის აგება კონსერვატორიის გვერდით, რომელზედაც ის მიშენებული იქნება. მიწის სამუშაო დამთავრებულია. საკონცერტო დარბაზის შენობა მასთან არსებული სასამსახურო შენობებით აგებული იქნება 1938 წელს.

რეკონსტრუქციას და ახალ მშენებლობას აწარმოებს „საქმშენი".

ახალი წიგნები

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი" (თარგმანი ა. ჭუმბაძისა), ალ. მიქაბერიძის „ოდისეა" (პოემის შინაარსი).

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობამ „ფედერაციამ" გამოსცა ს. კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა", შალვა რადიანის „ლიტერატურული მემკვიდრეობა".

გამომცემლობამ „ზარია ვოსტოკამ" რუსულ ენაზე გამოსცა ა. ერისთავ-ხოშტარიას რომანი „ბედის ტრიალი" და ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწარმოებნი („მგზავრის წერილები", „გლახის ნაამბობი", „ოთარაანთ ქვრივი", „კაცია-ადამიანი?", „სარჩობელაზე").

ხელოვნება

ესტრადის სახელმწიფო თეატრში

1 იანვარს გაიხსნა ესტრადის სახელმწიფო თეატრის საზამთრო სეზონი. პირველი დღის პროგრამაში თავმოყრილი იყო ქართული ესტრადის თითქმის ყველა ცნობილი ძალა.

სსრკ სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ დიდი ოსტატობით წაიკითხა „ვეფხის-ტყაოსნის" შესავალი და ს. შანშიაშვილის ეპოპეა „26 კომისარი".

დიდი წარმატება ჰქონდათ რესპ. სახ. არტ. ნიკო გოცირიძეს, დამსახურებულ არტისტებს თ. ჭავჭავაძესა და ემ. აფხაიძეს, სალარაძესა და ჯაფარიძეს, ილურიძეს, გომელაურსა და ვ. გოძიაშვილს.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ო. დოლიძემ, პ. კობახიძემ, მოცეკვავეებმა ფ. ბაუერმა, გ. გავაშელმა, მატკავამ და ჩახავამ, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლმა, აღმოსავლურმა ტრიომ, ტანმოვარჯიშეებმა ი. რუკინამ და მიშომ, იმიტატორმა ნ. მინდიაშვილმა.

პროგრამა ერთფეროვნად არის შედგენილი. სრულიად არ იყო წარმოდგენილი სიმღერა. საინტერესო ნომრებთან ერთად იყო აშკარად სუსტი ნომრებიც. თეატრის დირექციამ ამ ნაკლს ყურადღება უნდა მიაქციოს.

საბჭოთა ცირკის 20 წლისთავი

იანვარში 20 წელი სრულდება საბჭოთა ცირკის ორგანიზაციის დღიდან. საბჭოთა ხელისუფლების დროს ცირკების რიცხვი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 14-დან 95-მდე გაიზარდა. ამჟამად არსებობს 68 სტაციონარი და 27 მოძრავი ცირკი ქალაქად და სოფლად. ცირკის ხელოვნება შეიჭრა ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებში.

მნიშვნელოვნად შეიცვალა ცირკის მსახიობთა შემადგენლობაც. რევოლუციამდე მათი 80 პროცენტი უცხოელებისაგან შესდგებოდა. ამჟამად ჩვენს ცირკებში მუშაობენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა არტისტები.

იუბილესთან დაკავშირებით ცირკებში მოეწყობა საზეიმო საღამოები, რომელთა პროგრამაშიც შევა საუკეთესო საცირკო ნომრები. ეწყობა აგრეთვე სპეციალური დილის წარმოდგენები მოწაფეთათვის.

შემთხვევები

— **უბედური შემთხვევა.** 30 დეკემბერს ა. შ. ენდუნაია (აფხაზეთის შეს. № 6) ველოსიპედით მიდიოდა მიასნიკოვის ქუჩაზე. მოძრაობის წესების დარღვევის გამო „მკვრავის" მეორე ფაბრიკასთან ის დაეჯახა მომავალ საბარგო ავტო-მანქანას. ენდუნაია მძიმედ დაშავდა და მალე გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

— **გვამის პოვნა.** 31 დეკემბერს დილით 300 არაგველის ხიდთან მტკვრის პირას იპოვეს უცნობი დამხრჩვალი მამაკაცის გვამი. ვინაობას არკვევენ. გვამი გადაგზავნა 1-ლი საავადმყოფოს პროზექტურაში.

— **ხანძარი.** 31 დეკემბერს საღამოს მოქ. შაუშვილის ბინაში (კეცხოველის ქ. № 3) გაუფრთხილებლობის გამო ცეცხლი გაუჩნდა საახალწლო ნაძვის ხეს. ხანძარი ჩააქრეს საკუთარი ძალებით, ცეცხლის მქრობელი რაზმის მოსვლამდე.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი
კ. შეროზია

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

3/I	წარმოდგენა 65 ნაპერწკლიდან
4/I	წარმოდგენა 66 ნაპერწკლიდან
5/I	წარმოდგენა 67 ნაპერწკლიდან

დასაწყისი სად. 8 საათზე.
7 იანვრიდან დარიგდება მუდმივი ადგილების ბილეთები, ვისაც მე-3-ე გადასახადი არ ენება გადახდილი ბილეთები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიაში დილის 11 საათიდან 4 საათამდე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	დიდი ხმ. მხატვრ. ფილმი ლენინი ოქტომბერში სცენარი—ა. კაპლერისა, რეჟისორი—მ. რომმი. I სეანსის დასაწყისი „კომკავშირელსა" და „სპარტაკში" 6 ს., „ოქტომბერსა" და რ. ლუქსემბურგის სახ. კინოთეატრებში 6 ს. 40 წ.
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვანი მხატვრ. ფილმი ცამეტნი დასაწყ. 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	ხმოვანი ფილმი კარო დასაწყისი 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი უშიშარნი დასაწყ. 6-30
ახალი ამბები	ხრონ. ფილმი გასართობი ფიზიკა დასაწ. 6-30

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წლის სეზონი
5 იანვარს
მოსწავლე ახალგაზრდობის არდადეგებთან დაკავშირებით
შეღავათიან ფასებში
დღის წარმოდგენა
ნაპერწკლიდან
დასაწყისი 12 საათზე. სალარო ღიაა 10 საათიდან. 1 2-2

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

3/I	ერთდრ. ტალ. № 1 დღისით ევგენი ონეგინი დასაწყ. 12 საათზე.
3/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 64 ერთდრ. ბილ. სერიი № 2 საღამოს რიგოლეტო
4/I	ერთდრ. ტალ. № 2 დღისით ბალეტი ესმერალდა დასაწყ. 12 საათზე.

დასაწყისი სად. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

3/I წარმ. № 69	ნაპერწკლიდან
4/I წარმ. № 70	ნაპერწკლიდან

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 ს.-მდე.

ექიმი
მ. ბ. შახნაზაროვი
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
კრასნოგოროსკის ქ. № 33, შესასვლელი ეზოდან, მე-2 სართული. 17481

ესტრადის სახელმწიფო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-20

3 იანვარს
ტალონი № 3
საღამო
დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო გუნდისა
კირილე პაჭკორიას
ხელმძღვანელობით
3 მოქმედებად.

4 იანვარს ტალონი № 4 საღამო
I. გუნდი ხელოვნ. დამსახ. მოღვაწის
მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით.
II. მეჩონგურეთა სახელმწიფო ანსამბლი
ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.
III. სახუნტის ქორეოგრაფიული ანსამბლი
ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით.

ბილეთები იყიდება. დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ. 17537

თბილისის ქალაქის რკინიგზების ტრესტის ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი			პასივი		
№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	25896,7	1	საწესდებო ფონდი	21277,3
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	527,8	2	საამორტიზაციო ფონდი	515,7
3	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბ. საწყობ.	1136,6	3	სპეცფონდები	1252,7
4	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	5,7	4	გრძელვადიანი სესხი	2766,2
5	საქონელი და მზანაწარმი	5,3	5	რეზერვები	47,0
6	გასაყიდად გამოყოფილი საგნები	30,6	6	მომწესრიგებელი მუხლები	1,1
7	ფულადი საშუალებანი	14,0	7	შინა ანგარიშსწორებანი	382,3
8	ანგარიშსწორებანი	218,4	8	კრედიტორები	527,7
9	მომავალი პერიოდის ხარჯები	50.1	9	მომავალი პერიოდის შემოსავალი	875,1
10	გარეშე ბრუნვის საშუალებანი (განყენებ.)	11.573,3	10	დაგროვება საანგარიშო წლისა	11.913,4
	ბალანსი...	39.558,5		ბალანსი...	39.558,5

დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1.	კონსერვირებული წარმოების შენახვა	34,9	1.	დაგროვება პროდუქციის რეალიზ.	11.898,9
2.	სადებიტორო დავალიანების ჩამოწერა	27,9	2.	სხვადასხვა შემოსავალი	86,5
3.	ანარიცხი ტექპროპაგანდის 1/IV—36 წ.	3,1			
4.	დანაკარგები გ/წ. აღმოჩენილი საანგ. წ-ში	6,1			
5.	დაგროვება საანგარიშო წლის	11913,4			
	ბალანსი.	11.985,4		ბალანსი...	11.985,4

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია თბილისის საბჭოს ცენტრალური საბალანსო კომისიის მიერ 1937 წლის 5 აპრილს, ოქმი № 1, და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.
ტრესტის დირექტორი გოგომძე. მთ. ბუხჰალტერი გოგლიჩიძე. 1364

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3-ა-88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლოსამეურნეოს — 3—73—40, მუშკორთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა. 82502